სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 3 ივნისი 2005 №123 (2446) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაძე და ჩელსი: მიმდინარეობს 89-ე წუთი

2



ტყავაძემ პეტრიაშვილი შეცვალა

დინამოს ახალი დირექტორები

3

მარიო კემპესი ამბობს

8

დამალობანა თამაშამდე

ალბანელებმა და ქართველებმა ერთმანეთს კარი მიუხურეს

მიქელე იანქუ ტირანიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

გურამ ცისკარიშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრების თვითმფრინავი ტირანის „რინასის“ აეროპორტში, რომელიც დედა ტერეზას სახელობისაა, საღამოს ექვსი საათისთვის დაეშვა. საბაჟო კონტროლს დიდი დრო არ წაუღია და ტირანის ამ განახლებული აეროპორტიდან ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ ალბანელთა მეტოქეები.

ვერ ვიტყვი, ქართველებს ჟურნალისტთა არმია დახვდაო, თუმც საქართველოს ნაკრების მორიგი სტუმრობა ჩვენთვის მთლად უმნიშვნელოც არ ყოფილა. ინტერესი, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ჩამოსულთა მოხელთება შეუძლებელი გახდა, მათ პირდაპირ ავტობუსს მიაშურეს და გეზი „ქემალ სტაფადან“ ასიოდ მეტრის დაშორებით მდებარე სასტუმრო „შერატონისკენ“ აიღეს. მხოლოდ ნაკრების მწვრთნელის ალენ ჟირესისა და კახა კალაძის შეყოვნება მოვახერხეთ. აი, რა თქვა ქართველების ფრანგმა დამრიგებელმა:

— ალბანეთში ჩემთვის სასურველი შვიდი ფეხბურთელის გარეშე ჩამოვედით. ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ მიზანი ერთია — უნდა მოვიგოთ.

კახა კალაძე: სამწუხაროა, რომ თამაში უქომაგებოდ იქნება. ფეხბურთი ხომ სწორედ მათთვისაა. დაძაბული და საინტერესო მატჩი გველის, მაგრამ მჯერა, რომ გავიმარჯვებთ. ალბანეთმა და საქართველომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი დაკარგეს, თუმც ვეცდებით, ერთმანეთს ლამაზი ფეხბურთი ვეთამაშოთ.

სტუმრებმა „რინასიდან“ პირდაპირ „შერატონს“ მიაშურეს და იქ გამოიკეტნენ. დღეს ისინი „ქემალ სტაფაზე“ ხუთის ნახევარზე დახურულ კარს მიღმა ივარჯიშებენ. დახურული იქნება ალბანეთის ნაკრების ვარჯიშიც, რომელიც მერე დაიწყება.

ალბანელთა მწვრთნელმა ჰანს-პეტერ ბრიგელმა გუშინ გვითხრა, რომ არ აპირებს საქართველოსთან ისეთივე ტაქტიკური სქემით თამაშს, როგორითაც პოლონეთთან ამხანგური შეხვედრისას.

— საქართველოსთან სხვანაირად ვითამაშებთ. ჯერ ერთი, მასპინძლები ვართ, თანაც ოფიციალური მატჩია. სამწუხაროდ, შაბათს ვერ დაგვეხმარებიან ლალა და ცანა, მაგრამ შესანიშნავ ფორმაშია იუპი, ვინც თამაშს, ალბათ, ძირითადში დაიწყებს. კარგად ვიცით, რომ ალბანეთის ნაკრებს მეთორმეტე ფეხბურთელი, სტადიონზე ქომაგი არ ეყოლება, მაგრამ სწორედ მათ გასახარად უნდა მოვიგოთ, სხვა შედეგზე არც ვფიქრობ. ითამაშებს თუ არა მეკარე ლიკა, ჯერ ვერ გეტყვით, გუშინდელ ვარჯიშზე მას ტრავმა გაუმიზეზდა. მის არყოფნაში კი კარს „ტირანას“ მეკარე ჰიდის ვანდობთ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ეროვნულისგან ერთი კილომეტრის მოშორებით, ავსტრიულ სასტუმრო „როგნერში“ დაბინავდა და გუშინვე „პარტიზანის“ სტადიონზე ივარჯიშა. დღევანდელი მატჩი ტირანიდან 54 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ელბასანში გაიმართება.

ნჰლ-ს მიწას აყრიან

გეხსომებათ „სარბიელში“ გამოქვეყნებული ერთი წინასწარმეტყველური ფოტო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ დასტირიან ჰოკეის გულშემატკივრები კუბოში ჩასვენებულ სტენლის თასს. ქომაგთა წინათგრძნობა თითქოს მართლდება — შესაძლოა, ნჰლ-მ არსებობა შეწყვიტოს. მის ნაცვლად ფიქრობენ ახალი, ალტერნატიული ორგანიზაციის შექმნას. ამ საქმისთვის პროექტის ინვესტორებიც კი გამოჩნდნენ. ვნახოთ, რით დასრულდება ყოველივე — კვლავ გაიღება ნჰლ-ის კარი თუ სამუდამოდ ბოქლომი დაედება?

საქართველოს ნაკრები ნაკლებია

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

გუშინ, ნაშუადღევს საქართველოს ნაკრები ალბანეთს გაფრინდა...

საქართველოს ნაკრები აეროპორტს ზუსტად სამ საათზე მიადგა. ავტობუსიდან ჩამოსულებში პირველ რიგში ალექსანდრე იაშვილს დავუწყეთ ძებნა, წინა დღეს ვარჯიშისას დაჭიმული კუნთის შესახებ რომ გვეკითხა, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. სარეგისტრაციო მაგიდასთანაც მხოლოდ ცხრამეტი ფეხბურთელი მოგროვდა.

„სამწუხაროდ, იაშვილის ალბანეთში წამოსვლა ამ დილით გამოირიცხა — გვითხრა ალენ ჟირესის თანაშემწე გია გურულმა — ამ ორ-სამ დღეში უკვე მესამე თავდამსხმელი გამოგვაკლდა, რაც მართლაც დიდი დანაკლისია გუნდისთვის. თან ისეთ დროს, როცა შემცვლელის გამოძახებაც ვერ მოვასწარით, საავიზო პრობლემას ხომ ასე უცებ ვერ მოვაგვარებდით“.

გამოკლებული იაშვილის ნაცვლად მწვრთნელებმა ეროვნულ გუნდში ახალგაზრდული ნაკრებიდან კახა ალადაშვილი გადაიყვანეს.

მატჩამდელი შეკრება ტრავმის გამო მხოლოდ ინდივიდუალური ვარჯიშით ჩაამთავრა ალეკო რეხვიაშვილმაც, თუმც ბოლო ორ დღეში მისი მდგომარეობა სასიკეთოდ შეცვლილა და ერთობ კარგ გუნებაზე იყო. კომენტარიც იმედიანი გააკეთა: „უკვე კარგად ვარ. დღეს დილით გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშიც მოვასწარი და მზად ვარ, ალბანეთთან ბოლომდე დავიხარჯო. განწყობა, როგორც ყოველთვის, საბრძოლოა“.

ჟირესიც მშვენიერ ხასიათზე ჩანდა. გარშემომყოფებიც გვარიანად ახალისა, მერე კი გუნდს შეუძახა.

რეგისტრაცია ათიოდ წუთში დასრულდა. მანამდე კი თვითმფრინავს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მიაშურა.

ოთარ მალლაკელიძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

...მანამდე კი მწვრთნელებმა შეგირდები თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიაში ავარჯიშეს

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

კალაძე — ჩელსი: მიმდინარეობს 89-ე წუთი...

ბი-ბი-სი იტყობინება, რომ კახა კალაძე სულ მალე „ჩელსის“ მოთამაშე შეიქნება.

„ალბანეთ — საქართველოს მატჩის შემდეგ კახა ლონდონში გაფრინდება და ხელს მოაწერს კონტრაქტს“ — ირწმუნებიან ინგლისელი ჟურნალისტები, რომლებიც პირველწყაროდ კახას მამას, კარლო კალაძეს იმოწმებენ.

კალაძე 2001 წელს გადავიდა „მილანში“ კიევის „დინამოდან“. წლეულს კი შედარებით ცოტას თამაშობდა კლუბის ძირითადში. იან სტამის დაცვის ცენტრში გამოჩენამ პაოლო მალდინი მარცხენა ფლანგზე გასწია. თანაც „მილანმა“ ამ კვირაში იყიდა ჩეხი მარეკ იანკულოვსკი, რითაც კალაძის წასვლის ამბავი აშკარა შეიქნა.

„გუნდში საჭირო სივრცე ვერ მოვიპოვე და მიეხვდი, რომ წასვლის დროა“, უთქვამს კალაძეს გასულ კვირაში, ჩვენ კი გუშინ აეროპორტში ეს გვითხრა: „ტირანიდან ლონდონში ნაღდად არ მივდივარ, ჯერ მილანში ჩავალ და იქ დაველოდები ზარს „ჩელსიდან“. იმედია, ჩემი ლონდონში წასვლის საქმე მალე მოგვარდება“.

ლუკა თალაკვაძე

ბელგია

გადასასვლელი პლეი ოფი. VI ტური

ანტვერპენი 1:5 გენელი

რუზელარე 3:0 ვაასლანდი

ამხანაგური მატჩი

ფინეთი 0:1 დანია

ბაბრი ჯეიოლაძის ფოტო

პეტრიაშვილმა ტყავაძე დატოვა

დინამოს ახალი დირექტორები

საქართველოს ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ ახალი მმართველი დირექტორი ჰყავს — ბუბა ტყავაძე. დაინიშნა კლუბის ახალი ტექნიკური დირექტორიც — ამირან ღიბრაძე. ორივე თბილისის „დინამოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო და სწორედ ამ საბჭოს გადაწყვეტილებით გაუძღვებიან ისინი „დინამოს“.

ბუბა ტყავაძის წინამორბედი დავით პეტრიაშვილი კი საკლუბო საქმიანობას გუშინწინ, გადადგომის თაობაზე განცხადების დაწერის წუთიდან შეეშვა და, როგორც „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გვითხრა, თავისი უფლებამოსილება უკვე სრულად გადააბარა ტყავაძეს, რომელიც საქმიანობას გუშინვე შეუდგა.

თბილისის „დინამოში“ ჯერჯერობით სხვა არაფერია ახალი, გუნდი შვებულებაშია, თუმც კი ამბობენ, რომ საკადრო ცვლილებები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპამდე შემადგენლობაშიც არანაკლები იქნება, მწვრთნელი კახა ცხადაძე გუნდის საფუძვლიან გადახალისებას აპირებსო.

მოკლედ, „დინამოში“ ახალი ცხოვრება დაიწყო — ახალ ხალხს ახალი იდეები აქვს ხოლმე და, ვნახოთ...

ისე კი, ბუბა ტყავაძე საფეხბურთო სამყაროში ავტორიტეტული და პატივსაცემი კაცია, თავის დროზე კარგი ფეხბურთიც უთამაშია.

ძოგა ინასარიძე

უი, უიგანი?!

ქინქლაძე ინგლისში ახსოვთ



ბაბრი ჯეიოლაძის ფოტო

როგორც ჩანს, გიორგი ქინქლაძის თამაში ინგლისში ისევ ახსოვთ. გუშინ ბრიტანულ ვებ-გვერდებზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ 31 წლის ქართველი ნახევარმცველით „უიგანი“ დაინტერესდა. ეს კლუბი წლეულს ისტორიაში პირველად აღზევდა ინგლისურ პრემიერლიგაში და იქ დამკვიდრება სურს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ უიგანელებმა „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მეკარე როი კეროლი უკვე გადაიბირეს.

მოგეხსენებათ, ქინქლაძემ განვლილი სეზონი კვიპროსულ „ანართოსისში“ გაატარა და გუნდის გაჩემპიონებაში დიდი წვლილიც შეიტანა. ოფიციალურად ჯერ არ გაცხადებულა, მაგრამ კვიპროსელებსა და „უიგანს“ შორის მოლაპარაკება, ალბათ, მომავალ კვირაში დაიწყება. თუ ტრანსფერი შედგა, გიორგისთვის „უიგანი“ მესამე ინგლისური კლუბი იქნება „მანჩესტერ სიტისა“ და „დერბი ქაუნთის“ შემდეგ.

ილია ნანოგაშვილი

არველაძე საგვარეულო კლუბში?

შოთას კიოლნური ვარიანტი



საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი შოთა არველაძე ჯერაც ახალი კლუბის ძიებაშია. გეხსომებათ, შოთას შოტლანდიური „რეინჯერსიდან“ წამოსვლის მერე ჰოლანდიურმა „ალკმაარმა“ შესთავაზა ორწლიანი კონტრაქტი, თუმცა ქართველმა ფორვარდმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. ჰოდა, მსურველებიც გამოჩნდნენ — როგორც შევიტყვეთ, არველაძის გადაბირება გერმანულ ბუნდესლიგაში აღზევებულ „კიოლნს“ მოუწადინებია. საინტერესოა, რომ „კიოლნში“ ადრე შოთას ძმებს, რეზოს და არჩილს უთამაშიათ და გაგრძელდება თუ არა ეს საგვარეულო ტრადიცია, მალე გავიგებთ.

ამასობაში კიდევ უფრო გააქტიურდა თურქული „ტრაბზონსფორი“, რომელიც შოთას კარიერაში პირველი უცხოური კლუბი იყო და საკმაოდ წარმატებულიც. არველაძე დღემდე ახსოვთ ტრაპიზონში და მისი შეძენა იქაურ გულშემატკივრებს ძალიან გაუხარდებათო, წერენ უცხოური ვებ-გვერდები.

ძახა შალამბერიძე

ბარსამოტივი

ონოფრიშვილმა ლოკომოტივი რკინიგზაში „ჩაბარა“

გუშინ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილმა ქვეყნის თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი“ მიიწვია და გამარჯვება მიულოცა. ლოკომოტიველებმა ერთ-ერთ მეპატრონეს თასი მიუტანეს და მადლობა გადაუხადეს თანადგომისთვის. შეხვედრის ძირითადი ლაიტმოტივიც ეს იყო — ჩვენ შეძლებისდაგვარად დაგეხმარებით, თქვენ კი ხშირად გაგვახარეთ... დეპარტამენტში ლოკომოტიველთაგან მივიდნენ კლუბის გენერალური დირექტორი ლევან ყიფიანი, კლუბის საკონტროლო პაკეტის მფლობელი კომპანიის „სილქ როუდ გრუპის“ წარმომადგენელი ლექსო თოფურია, მთავარი მწვრთნელი ნოდარ აკობია და ფეხბურთელები — გიორგი ალავერდაშვილი, გიორგი ყიფიანი, გიორგი ჩივაძე, გიორგი კახელიშვილი და ბრაზილიელი რამონი

ბურაბ დოლიძის ფოტო

დავით ონოფრიშვილი, ლექსო თოფურია და ლევან ყიფიანი

დავით ონოფრიშვილი: „კიდევ ერთხელ ვულოცავ „ლოკომოტივს“ საქართველოს თასის მოგებას. მართალია, რიგი მიზეზების გამო საქართველოს რკინიგზა ამ გუნდს სრულად ვერ პატრონობს, მაგრამ, ვფიქრობ, „სილქ როუდ გრუპი“ მშვენივრად უძღვება საქმეს. ეს კომპანია ჩვენი პარტნიორია და მიხარია, რომ წარმატებას ასე მალე მივაღწიეთ.

...ეს თასი ამაღამ ჩემს კაბინეტში დარჩება, ხვალ კი რკინიგზის დეპარტამენტის მუზეუმში დავაბინავებთ. თქვენ კი ნუ გაჩერდებით — მუზეუმში კიდევ ბევრი ადგილია და პრიზები გარეთ არ დაგვრჩება.

...საქართველოს რკინიგზა „ლოკომოტივის“ მხოლოდ 25-პროცენტიანი მეწილეა, მაგრამ რაც შეგვეძლება, გუნდს გვერდით დავუდგები. კარგია, რომ კლუბს ახალგაზრდებზე აქვს აქცენტი და, როგორც გავიგე, მალე შესაძლოა, ესპანურ „ბარსელონასთანაც“ გაფორმდეს ხელშეკრულება, რაც „ლოკომოტივისთვის“ დიდი მიღწევაა“.

ლექსო თოფურია: „საქართველოს რკინიგზას მადლობას ვუხდით თანადგომისთვის. რაც შეეხება „ბარსელონასთან“ დამეგობრების საკითხს, ჯერ ყველაფერი გადაწყვეტილი არ არის. საქმე ისაა, რომ უახლოეს მომავალში ვხსნით დავით ყიფიანის სახელობის საფეხბურთო სკოლას, რომელიც, დიდი შანსია, „ბარსელონას“ ტალანტების მოძიების პროგრამაში გაერთიანდეს. ამ საკითხზე ახლა ვმუშაობთ და, რაც მოხდება, ყველა გაიგებთ“.

შეხვედრაზე „მიხეილ მესხის“ სტადიონის საკითხმაც გაიჟღერა. მოგეხსენებათ, იგი რკინიგზის საკუთრებაა, მაგრამ „ლოკომოტივს“ ამით შეღავათი არა აქვს და იჯარის გადახდა უწევს. ამის შესახებ ონოფრიშვილმა გვითხრა: „სტადიონი ჩვენი საკუთრებაა, მაგრამ ახლა დოტაციაზეა. მის შენახვას ვერ ვახერხებთ და თუ სერიოზული წინადადება მივიღეთ, აუცილებლად გავყიდით. ვფიქრობ, სტადიონი არ უნდა იყოს სახელმწიფოს საკუთრება. ისე კი, ყველანაირად ვეცდებით, გაყიდვის შემთხვევაში ახალ პატრონთან დადებულ ხელშეკრულებაში „ლოკომოტივის“ ინტერესებიც გავითვალისწინოთ და შეძლებისდაგვარად შეღავათი გავუწიოთ“.

„სილქ როუდ გრუპის“ წარმომადგენელმა ლექსო თოფურიამ კი თქვა: „ჯერჯერობით ჩვენი კომპანია სტადიონის შეძენაზე არ ფიქრობს, რადგან ამის საშუალება არ გვაქვს. ღმერთმა ქნას, მალე ეს წინადადებაც გვქონდეს განსახილველი“.

ძახა შალამბერიძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი მიმოხილვა

უმაღლესი ლიგა. მეორე ეტაპი

გაზაფხულის მეჩვიდმეტე გაელვებამდე

ზემოთ ფლაგმანი, ქვემოთ აკვანი

ისტორიას ჩაბარდა კიდევ ერთი სეზონი. რომ ვთქვათ, დედა, რა ვნახეთ, ეს რა თამაშები იყოო, არ გამოვა რეალური ლაპარაკი. ალაგ-ალაგ ლამაზ თამაშებს წააწყდებოდი კაცი, დაძაბულობაც საკმარისად... შარშანდელი სეზონისა არ იყოს, ახლაც გამოჩნდა, ასე ვთქვათ, „ამრევი“ — „სიონი“ „ზესტაფონმა“ შეცვალა და მეორე ეტაპზე ყველა აალაპარაკა.

ჩემპიონი კი გახდა ის, ვინც უნდა გამხდარიყო. თბილისის „დინამოს“ რთული პერიოდები ჰქონდა, მაგრამ მეთორმეტე ქართულ ოქროს მაინც შესწვდა.

მოკლედ, განვლილ სეზონში კარგიც ბევრი იყო და ცუდიც — ხოლო რომელი სჭარბობდა, ამის მტკიცებას არ დავიწყებთ, რადგან, როგორც იტყვიან, რამდენი კაციცაა, იმდენი აზრია...

დინამო თბილისი

23 6 7 73:27 75

მეგოლეები: *მელქაძე (27), დვალი (9), კაკალაძე (5), დვალიშვილი (4), გონჩაროვი, ბაბუნაშვილი (3-3), ნემსაძე, კაშია, ოდიკაძე, გრიგალაშვილი, სილაგაძე (2-2), რომერო, ხმალაძე, ალადაშვილი, კვირკველია, ახალაია, შაშიაშვილი, ჯამარაული, ორბელაძე, ლ. ჭელიძე, კ. მახარაძე, ლ. ნოზაძე, გ. ნუგ. ჭელიძე (1-1).*

„დინამომ“ ძნელი გზა გაიარა ჩემპიონობამდე, მაგრამ ძლიერმა შემადგენლობამ და გადამწყვეტ მატჩებში მობილიზებამ თავისი მაინც გაიტანა. დინამოელებს პირველ ეტაპზე გაუჭირდათ — უეფას თასზე თამაშმა გუნდს თითქოს ძალა გამოაცალა, შუა სეზონში რამდენიმე ლიდერმაც დატოვა კლუბი. სამაგიეროდ, ცხელ-ცხელი ტრანსფერებით ორი კურდღელი დაიჭირა: თავად ხომ შეივსო დანაკლისი და აქეთ კონკურენტები დაასუსტა — „ტორპედოს“ შოთა ბაბუნაშვილი, „თბილისს“ დავით ოდიკაძე, სერგო ორბელაძე და გიორგი ჭელიძე, „ვიტ ჯორჯიას“ კი ლაშა ნოზაძე წაჰგვარა. დინამოელების მეორე კრიზისული პერიოდი მეორე ეტაპის დასაწყისში დადგა — რამდენიმე უადგილო მარცხის შემდეგ გია გეგუჩაძე ორი მატჩით შეცვალა ხვიჩა ქასრაშვილმა, ბოლო ათ ტურში კი გუნდს კახა ცხადაძემ უთავკაცა. ცხადაძის ხელში დინამოელებმა საგრძნობლად მოუმატეს, ოდენ 5 ქულა დაკარგეს.

ტორპედო ქუთაისი

20 10 6 56:31 70

მეგოლეები: *მეგრელაძე (23), ბოლქვაძე (6), ნერგაძე, კოშკაძე (5-5), გამეზარდაშვილი, გ. ჩხეტიანი, რ. ჯიქია (4-4), ბაბუნაშვილი (2), სოსელია, დარსაძე, ბეგლარ თედორაძე — საკ. კარში (1-1)*

სტაბილური სეზონი გვქონდაო, ქუთაისელებმა უნდა დაიკვეხონ. მგონი, უნიკალური შემთხვევაა, შეკრებაგაუვლელმა გუნდმა 18 ტურში ილიდეროს. ოთარ გაბელია არც გრძელი სკამით ყოფილა გაფუფუნებული და არც კლუბის ფინანსური მდგომარეობით, მაგრამ ქუთათურებმა ჩემპიონატის ფინიშამდე მისდიეს „დინამოს“ და ზამთარში მეკარე ზვიად სტურუა და ლიდერი შოთა ბაბუნაშვილი რომ არ გამოჰკლებოდათ, ვინ იცის...

„ტორპედოს“ არც მარილი აკლდა, მაგრამ ჩემპიონობამდე რაღაც დააკლდა. ეს „რაღაც“ კი „დინამოს“ შეფასებისას აღვნიშნეთ.

გაბელია მსაჯებს ხშირად უწყრებოდა, ქუთაისელთა მონაწილეობით ორჯერ მოხდა სკანდალი, აქედან ერთი ბოლო ტურში იყო „თბილისთან“, როცა გუნდს წაგება კი ჩაეთვალა, მაგრამ სატურნირო მდგომარეობა ვერ გაუცუდა.

თბილისი

21 6 9. 60:40 69

მეგოლეები: *ფიფია (13), ოდიკაძე (10), იაშვილი (9), გ. მიქაძე, შ. ჯიქია (4-4), მიკუჩაძე, ბ. ქლენტი (3-3), რევაზ ბარაბაძე, გოგუა, გაწაძე, სამხარაძე, ხოჯავა (2-2), ორბელაძე, ა. კალაძე, მესხი, აფციაური (1-1).*

გუნდის საამსეზონო უაქტუალურესი თემა ზამთარში მომხდარი რეორგანიზაცია იყო. კლუბმა 21 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა და, მართალია, რამდენიმე მათგანი მაინც დაიტოვა, „თბილისს“ მეორე ეტაპზე ველარ იცნობდით. გიორგი დევდარიანის ნაცვლად გათავკაცებულმა ლუის ცაკარიასმა ახალგაზრდები შემოიკრიბა და ამ ფონზე არცთუ ურიგო შედეგიც აჩვენა. „თბილისი“ ერთხანს ლიდერობდა კიდეც, მაგრამ დენთი არ ეყო და ოდენ ინტერტოტოს თასის საგზურს დასჯერდა.

ლოკომოტივი თბილისი

16 15 5 41:23 63

მეგოლეები: *ბობოხიძე (12), სირბილაძე (4), კახელიშვილი, ქებაძე, გ. ონიანი, რ. ონიანი (3-3), გოგობერიშვილი, რამონი, გაგუა (2-2), ლ. ჩხაიძე, სანიკიძე, მახვილაძე, სიჭინავა, ბურდული, ლაცაბიძე, ალავერდაშვილი (1-1).*

პირველი ეტაპის შემდეგ „ლოკომოტივს“ არც თასის ფავორიტად თვლიდა ვინმე და იმას ხომ არამც და არამც არავინ ელოდა, ნოდარ აკობიას ბიჭები 20-მატჩიან წაუგებელ სერიას თუ გაჭიმავდნენ. ცალკე სათქმელია „ტორპედოდან“ შუა სეზონში შეძენილი ზვიად სტურუას 10-მატჩიანი მშრალი სერია — აწ უკვე ეროვნული ნაკრების მეკარეს 923 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია, რითაც რეკორდსმენი შეიქნა.

პირველ ეტაპზე რკინიგზელებს ზაურ სვანაძე წვრთნიდა, ზამთარში იგი ჯემალ ჩიმაკაძემ შეცვალა და სწორედ მან მიიყვანა გუნდში ბევრი საინტერესო ახალგაზრდა. მისი გარდაცვალების მერე ნოდარ აკობიას დანიშვნამ კი „ათიანში“ მოარტყა.

ზესტაფონი

16 5 15 38:48 53

მეგოლეები: *ზირაქიშვილი (10), იონანიძე (5), ჩილვინაძე, ბ. გოცირიძე (3-3), ქურციკიძე, ჯაფარიძე, გ. თურმანიძე, სულაკაძე (2-2), ვ. ქუთათელაძე, დ. ჯანაშია, გვარუციძე, ნუდნი, პარამონოვი, კ. ჩხეტიანი, ძამსაშვილი, ს. თოდუა, კვერნაძე (1-1).*

წელგამართულმა სპონსორმა „ფეროშ“ ზესტაფონში საფეხბურთო ბუმს მისცა კალაპოტი. ყოველ საშინაო მატჩზე იმერეთის პატარა ქალაქის სტადიონზე 10 000 მაყურებელი მიდიოდა და გუნდს სტუმრადაც დაჰყვებოდნენ ქომაგები. „ზესტაფონს“ პირველ ტურებში მოლდოველი ვლადიმირ ზემლიანოი თავკაცობდა, მაგრამ მე-10 ტურიდან გუნდის საჭე თემურ მახარაძეს მიანდეს და დაიწყო... ფეროელებმა მეორე ეტაპზე სოლიდურ შემადგენლობას მოუყარეს თავი, ექსპრესივით მიქროდნენ მაღალი ადგილებისკენ და საქართველოს თასისკენ. ბევრი გამოსარჩევი გამარჯვება აჩუქეს ქომაგებს, მაგრამ სადაც ბოლო აკორდი უნდა აჟღერებულიყო, იქ წაუცდათ ფეხი — 26 მაისს „ლოკომოტივს“ ვერ მოერივნენ და ევროსარბიელს გამოეთხოვნენ.

ვიტ ჯორჯია თბილისი

13 9 14 54:41 48

მეგოლეები: *მარცვალაძე (11), ე. მერებაშვილი, გოჩაშვილი (8-8), სახოკია (6), ადამია (4), პ. დათუნაიშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, ლ. კვარაცხელია, ებანოიძე (2-2), ქოქიაშვილი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, თ. კობიაშვილი, ცხომარია, ლ. მანწკავა, ჩილვინაძე (1-1).*

სად შარშანდელი „ვიტ ჯორჯია“ და სად წლევანდელი. ჯერ პირველ ეტაპზეც ვერ ჩემპიონობდა ჩემპიონი და გიორგი ადამიასა და ლაშა ნოზაძის წასვლის შემდეგ ხომ მთლად აირია მონასტერი. ერთადერთი ნათელი წერტილი ოთარ მარცვალაძე იყო, ზაზა სახოკიასა და დავით დილმელაშვილსაც ჰქონდათ კარგი თამაშები, მაგრამ „ვიტ ჯორჯია“ საშუალო დონეს ვერ გასცდა.

კოჭლაშვილი, ხაჩიძე, კოჭლაშვილი, კარნევალი — ასეთი თანმიმდევრობით იცვლებოდნენ ვიტელთა მწვრთნელები, გამუდმებულ ცდებს კი შედეგი იშვიათად მოაქვს...

სიონი ბოლნისი

12 4 20 35:57 40

მეგოლეები: *გოგოლაძე (8), დოლიძე (7), ქარდავა, რუსია (4-4), ჩოხელი, მიქავა (2-2), გ. შენგელია, ვერემჩუკი, ჩაჩუა, ი. ვაშაკიძე, ბაჯელიძე, ისიანი, დათვაძე, ავალიანი (1-1).*

შარშანდელი გახმაურებული „ოქროს მატჩის“ შემდეგ „სიონს“ ფეხბურთელები შემოეფანტნენ და აი, შედეგიც: ბოლნისელები ძლივს გადაურჩნენ გავარდნას. მათი ბედი, რომ „კოლხეთი“ მეორე ეტაპზე ფინანსურად დაუძლურდა.

ბოლნისში ოდნავ მაინც შენარჩუნდა საფეხბურთო ბუმი, იქაურებს უყვართ ფეხბურთი, მაგრამ, ეგაა, ექსცენტრიული ქომაგობა იციან.

ბათუმი

9 12 15 35:33 39

მეგოლეები: *ხომერიკი, დარჩიძე (8-8), გ. ნოდ. ჭელიძე (7), ღლონტი, კ. მეტრეველი (2-2), ი. შენგელია, ექონია, ი. მახარაძე, გუშარაშვილი, გონჩაროვი, ხარაზი, ჩოხელი, ვ. ქუთათელაძე — საკ. კარში (1-1).*

უცნაურია, ბოლოდან მესამეადგილოსან გუნდს ბურთების შეფარდება დადებითი აქვს. ეს ყველაფერი პირველი ეტაპის გამოა — „ბათუმი“ ერთხანს მესამე საფეხურზეც კი იყო, მაგრამ მერე დაეწყო ჩვეული სენი — უფულობა. აჭარელები ძლივს ახერხებდნენ გასვლით მატჩებზე წასვლას და უეჭველად გავარდებოდნენ, მათზე ლატაკ გუნდებს რომ არ „წამოეყოთ თავი“.

კოლხეთი ფოთი

9 5 22 32:62 32

მეგოლეები: *გ. თოდუა (7), ძოძუაშვილი (5), აკობია (4), თაყაძე, შ. ლონლაძე (2-2), ზ. ქუთათელაძე, დ. ნარსია (2-2), ქობულაძე, ლებანიძე, მელიქია, ჯ. შალამბერიძე, მარგალიტაძე, ტყებუჩავა, მიკუჩაძე, ნ. ნარსია (1-1).*

„კოლხეთი“ არასოდეს გავარდნილა უმაღლესი ლიგიდან, ეს „პირველი მერცხალი“ იყო. რამ მოიტანა ასეთი საშინელი შედეგი? სერგო გაბელაიას მისვლის შემდეგ ფოთელებმა თვალებში გამოიხედეს, მაგრამ მეორე ეტაპზე ფოთის პორტისგან კლუბს დახმარება შეუწყდა და აქ მორჩა ყველაფერი — „კოლხეთი“ ძალისძალადღა ამთავრებდა სეზონს... მაგრამ თუ 16-გუნდიანი ჩემპიონატის ჩატარება ბრძანეს, კოლხებსაც ეშველებათ.

დილა გორი

2 4 30 20:88 10

მეგოლეები: *სულთანიშვილი (5), მძინარიშვილი, წუწუნავა (3-3), კ. ხანიშვილი, შატაკიშვილი (2-2), ჩაჩუა, რევაზიშვილი, ლაბაძე ლ. ნადირაძე, აკობია — საკ. კარში (1-1).*

გულქვა უნდა იყო, „დილა“ არ გეცოდებოდეს. არავითარი პატრონობა, არავითარი ხელფასი, არავითარი ენთუზიაზმი...

კი, ბატონო, გახდეს 16-გუნდიანი ჩემპიონატი, მაგრამ რა აზრი აქვს ისეთი გუნდის თამაშს, რომელსაც ზედ არავინ უყურებს?!

ილია ნანობაშვილი

სიმბოლური ნაკრები

ლევან მელქაძე — *დინამო*

გიორგი მეგრელაძე — *ტორპედო*

გოგი ფიფია — *თბილისი*

გიორგი ნერგაძე — *ტორპედო*

შოთა ბაბუნაშვილი — *დინამო*

გიორგი თურმანიძე — *ზესტაფონი*

რონ ონიანი — *ლოკომოტივი*

დავით გამეზარდაშვილი — *ტორპედო*

რევაზ ბარაბაძე — *თბილისი*

დავით ოდიკაძე — *დინამო*

ზვიად სტურუა — *ლოკომოტივი*

დინამო	36	23	6	7	73:27	75
ტორპედო	36	20	10	6	56:31	70
თბილისი	36	21	6	9	60:40	69
ლოკომოტივი	36	16	15	5	41:23	63
ზესტაფონი	36	16	5	15	38:48	53
ვიტ ჯორჯია	36	13	9	14	54:41	48
სიონი	36	12	4	20	35:57	40
ბათუმი	36	9	12	15	35:33	39
კოლხეთი	36	9	5	22	32:62	32
დილა	36	2	4	30	20:88	10

ბომბარდირები

27-მელქაძე	*დინამო*
23-მეგრელაძე	*ტორპედო*
13-ფიფია	*თბილისი*
12-ოდიკაძე	*თბილისი/დინამო*
ბობოხიძე	*ლოკომოტივი*
11-მარცვალაძე	*ვიტ ჯორჯია*

ეშლი კოული ბოსმანობას აპირებს



ეშლი კოული და ჟოზე მაურინიუ საიდუმლო მოლაპარაკებისთვის დასაჯეს

პრემიერლიგის კომისიამ 100 ათასი გირვანქით დააჯარიმა „არსენალის“ მცველი ეშლი კოული.

მიზეზი ნაცნობია: კოული თავისი კლუბისგან უჩუმრად ელაპარაკა „ჩელსის“ მენეჯერსა და შეფს ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში.

კოული ამ განაჩენმა აღაშფოთა და განაცხადა, რომ მსოფლიოს ფეხბურთელებს მონობისგან დაიხსნის. მისი ვექილი გრემ შირი კი ამბობს, რომ სარჩელი უკვე მზადაა და რომ ფეხბურთელი არ უნდა განსხვავდებოდეს სხვა სამუშაოს მძებნელი კაცისგან.

კოული იოლად გადარჩა „ჩელსისთან“ შედარებით: კლუბს 300 ათასი გირვანქა დააკისრეს, პლუს სამი ქულის ჩამოჭრა, ხოლო ჟოზე მაურინიუს 200 ათასის გადახდა მოუწევს.

ეს გადაწყვეტილება სათუოს ხდის კოულის ყოფნას „ჰაიბერიზე“, მისმა ვექილმა თქვა, რომ ეშლის სულ არ უნდა საუკუნის წინანდელი ბატონ-მსახურის წესებით ცხოვრება.

როგორც ჩანს, საქმე გვარიან რეზონანსს მიიღებს და ევროპულ სასამართლომდე მივა. რამაც, შესაძლოა, სრულიად ახალი მდგომარეობა შექმნას ფეხბურთში და კოული ინგლისელ ჟან-მარკ ბოსმანად აქციოს.

კოული 27 ივნვარს „როიალ პარკ ჰოტელში“ მალვით შეხვდა ჟოზე მაურინიუს, შეფ პიტერ კინონს და განთქმულ აგენტ პინი ზაჰავის. იქვე იყო მისი აგენტი ჯონათან ბარნეტიც.

ფეხბურთელს კვირაში 27 ათასი გირვანქა აქვს „არსენალში“, „ჩელსი“ კი მას 60-ს სთავაზობდა. „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარემ, დევიდ დინმა ამ საქმის გამო განაცხადა: „ეს ეშლის გადაწყვეტილებაა. მას სასამართლოში უნდა საქმის გადატანა, მაგრამ ვფიქრობ, ის გადაიფიქრებს. ეს წესები მრავალი წელია არსებობს მთელს ევროპაში და ყველა პატივს სცემს მას. მე მგონია, კოული ჩვენთან დარჩება“.

გადაწყვეტილებამ „ჩელსიც“ აღაშფოთა. კლუბის თავმჯდომარემ ბრიუს ბაკმა თქვა, რომ მის კლუბს ძალიან გაუჭირდება „არსენალთან“ ნორმალური და მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება.

„ამ საქმეს აგენტები ჩარხავდნენ. ეს ტრიბუნალზეც დამტკიცდა. სწორედ მათ მოითხოვეს შეხვედრა. ეს იყო უბრალოდ, შეხვედრა. საქმე რაიმე კონკრეტულამდე რომ მისულიყო, ჩვენ „არსენალს“ არ დავუმალავდით — თქვა ბაკმა — მაურინიუ კი სულაც არ იყო ამ საქმის აქტიური მონაწილე. უბრალოდ, ჩვენ ვთხოვეთ, რომ ფეხბურთელს გასაუბრებოდა. ნახევარი მილიონი გირვანქა ყველასთვის დიდი ფულია“.

„არსენალის“ სარჩელს პრემიერლიგის საგანგებო კომისიამ მართლაც მკაცრი სასჯელი მოაყოლა. ახლა, დაჯარიმებულებს 14 დღე აქვთ იმისთვის, რომ საქმე გაასაჩივრონ. კოული უკან დამხვევი არ ჩანს. თუ გადამხდელები არიან, „ჩელსისაც“ და კოულსაც 21 დღე აქვთ. მომავალი გვიჩვენებს, შეძლებენ, თუ არა, კოული და მისი ვექილი განთქმულ ქეი-3-ის წესის დანგრევას.

ირაკლი გამყრელიძე

მილანი ჯილარდინოს უცდის



ალბერტო ჯილარდინო „მილანთან“ კონტრაქტს პლეი ოფების მერე გააფორმებს

პარმელი ალბერტო ჯილარდინოს ახალი გუნდის ვინაობა სულ ცოტა, 18 ივნისამდე არ გაირკვევა, ყოველ შემთხვევაში, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ აღნიშნა, რომ სანამ „პარმა“ „ბოლონიასთან“ გადათამაშებაში ურთიერთობას არ გაარკვევს, „რომსონერი“ „ენიო ტარდინის“ ბინადრებს არ შეაწუხებს.

სავარაუდოდ, ასე მოიქცევიან ახალგაზრდა ფორვარდის სხვა მსურველებიც, რადგანაც პარმელებს ახლა ტრანსფერებზე საფიქრელად არ სცალიათ. თუმც აპენინური პრესა დაბეჯითებით გვამცნობს, რომ ჯილარდინო ცალი ფეხით უკვე „მილანშია“ და მცირე დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი.

„პარმას“ ორი ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ელის და ახლა მათი შეწუხება ჩვენი მხრიდან არაკორექტული იქნება. ჩვენ ამის გაკეთებას არც ვაპირებთ. გადათამაშების შემდეგ კი ყველაფერზე კიდევ ერთხელ ვისაუბრებთ. რაც შეეხება სხვა ტრანსფერებს, ახლა ამაზე კომენტარებს აზრი არა აქვს, რადგან წინა კიდევ სამი თვეა და ბევრი რამ შეიძლება მოხდეს“ — განმარტა გალიანიმ.

გიორგი კაკაბაძე

ხულიგანი ინტერესაც უნდა

ანტონიო კასანო

როგორც უკვე გაუწყეთ, მილანის „ინტერი“ ანტონიო კასანოსთვის ბრძოლაში ჩაერთო. მოგეხსენებათ, რომაელის მთავარი მსურველი „იუვენტუსია“, რომელმაც უკვე მოქმედება დაიწყო და დედაქალაქელებს კასანოში 9 მილიონთან ერთად ადრიან მუტუ შესთავაზა. თუმცა „რომა“ ტურინელთა წინადადებით უკმაყოფილო დარჩენილა. ამბობენ, „გლადიატორებმა“ „ბებერ ქალბატონს“ ალესიო ტაკინარდი, ადრიან მუტუ და 10,5 მილიონი ევრო მოსთხოვესო. ამასობაში, სატრანსფერო ბაზარზე „ინტერიც“ გამოჩნდა, რომელიც მზადაა, კასანოს სანაცვლოდ ემრე ბელოზოღლუ, გეორგოს კარაგუნისი და 10 მილიონი გაიღოს.

ვარაუდობენ, რომ რომაელები არც „ნეროაძურის“ წინადადებას დასთანხმდებიან და უფრო მეტს მოითხოვენ და არ არის გამორიცხული, მასიმო მორატიმ ამ საქმეში თვით თავისი საყვარელი ფეხბურთელი ალვარო რეკობაც ჩართოს. მიუხედავად გუნდის მფლობელის დიდი სიმპათიისა, ურუგვაელმა საბოლოოდ გადაწყვიტა „სან სიროს“ დატოვება და წესით, „რომაში“ გადასვლაზე უარი არ უნდა თქვას. თუმც რეკობას „სამპდორიაც“ ეპატიჟება.

წესით, მოლაპარაკებები კიდევ საკმაო ხანს გაგრძელდება, მასიმო მორატის თქმით, იგი ყველანაირად ეცდება, ხულიგნად შერაცხულ კასანოს „ინტერის“ ფორმა ჩააცვას.

გიორგი კაკაბაძე

„პარი სენ ჟერმენის“ თავკაცი ლორან ფურნიე გუნდთან კონტრაქტის გახანგრძლივების შემდეგ აქტიურად განაგრძობს საქმიანობას და მომავალ სეზონზე დიდ იმედს ამყარებს. წარმატების მთავარ საწინდრად კი იგი კლუბში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის მიყვანას მიიჩნევს და ტრანსფერებისთვის გარკვეულ თანხას ითხოვს. მისი პირველი სამიზნე „მილანის“ ნახევარმცველი ვიკაშ დორასოა

ფურნიემ დორასოს დაუმიზნა, პაულეტამ ნისლიან ალბიონს

ვიკაშ დორასო სამშობლოში ბრუნდება

ლორან ფურნიე: „დორასომ „ლიონსა“ და „მილანში“ თამაშისას დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია. იგი ჩვენს გუნდს ძალიან გამოადგება. იმედია, იტალიელებთან შეთანხმებას შევძლებთ“.

როგორც ამბობენ, პარიზელთა რიგებში გადასვლაზე თავად ფეხბურთელიც ყაბულსაა, თუმც „მილანი“ ჯერ თავს იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგს კარლო ანჩელოტი ძირითად შემადგენლობაში თითქმის არასდროს აყენებს, „შავწითლებს“ იგი მაინც არ ეთმობათ.

ამასობაში, პსჟ-ს დატოვებას აპირებს ბოლო წლებში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი, პორტუგალიელი პედრუ პაულეტა — მას „მანჩესტერ სიტი“ ეპატიჟება. ინგლისური კლუბის თავკაცი სტიუარტ პირსი უკვე დაუკავშირდა პაულეტას აგენტ ჟორჟე რანგეს და მხარეები, ალბათ, მალე შეთანხმდებიან.

„ვფიქრობ, მაღალ დონეზე თამაში კიდევ რამდენიმე წელი შემიძლია, ხოლო პრემიერლიგა ამისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია“ — დასძინა თავად ფეხბურთელმა.

გიორგი კაკაბაძე



ამაგდარი ულიე საქმეს შეუდგა

ჟერარ ულიე ნაშეგირდალს ეპატიჟება

საფრანგეთის ბოლო წლების ჩემპიონ „ლიონს"ახალი მეორე მწვრთნელი ჰყავს — გუნდის ოდინდელი კაპიტანი რემი გარდი, ვინაც ბოლო ორი წელია, კლუბის სამწვრთნელო შტაბის წევრი კი არის, მაგრამ აქამდე მხოლოდ მეტოქეთა დაზვერვას ანდობდნენ.

გარდის დანიშვნა იმიტომ ვახსენეთ, რომ ჟერარ ულიეზე გვეთქვა: ფრანგული კლუბის ახალმა მწვრთნელმა თავისი შტაბის დაკომპლექტება დაიწყო.

და არა მხოლოდ სამწვრთნელო შტაბის: ამ კვირაში ჟერარ ულიე ჩეხეთში მიემგზავრება მილან ბაროშთან მოსალაპარაკებლად.

გეცოდინებათ, ულიეს ბაროში ერთხელ უკვე ჰყავს გადაბირებული. 2001 წელს სწორედ მან წაიყვანა ჩეხი ფეხბურთელი ოსტრავის „ბანიკიდან" „ლივერპულში", მაგრამ უეჭველია, რომ მოლაპარაკება ახლა უფრო რთული იქნება — „ბანიკიდან" „ლივერპულში" გადასვლა ერთია და ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორიდან ფრანგულ კლუბში გადასვლა კი მეორე.

თუმცა მეორე მხრივ, გამორიცხული არაფერია, რაკი ამ სეზონში ბაროშს რაფა ბენიტესი მაინცდამაინც არ წყალობდა, რაც ულიეს შანსს ზრდის.

მილან ბაროშის გადაბირებას „ლიონისთვის" უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაკი ჯოვანი ელბერის წასვლის მერე, გუნდი მეგოლის გარეშეა დარჩენილი. ელბერის შემცვლელად დავიდ ტრეზეგესა და იონ დალ ტომასონსაც ასახელებენ, მაგრამ ბაროშის ვარიანტი ყველაზე რეალური ჩანს.

თავად ფეხბურთელმა კი თქვა: „ლიონის" დაინტერესებაზე ჯერ არაფერი ვიცი, ულიეზე კი გეტყვით — მან 19 წლის ოსტრაველი ბიჭი დიდ გუნდში წამიყვანა და დიდი ფეხბურთის თამაშის საშუალება მომცა. მისი ამაგი არასდროს დამავიწყდება."

ირაკლი ნინიძე

ჯანლუიჯი ბუფონს ტიტულების მოხვეჭა „იუვენტუსთან" ერთად უნდა

საკითხი დახურულია
ბუფონი იუვეს ერთგულია

ბოლო დღეებში ჯანლუიჯი ბუფონის გარშემო ატეხილ აურზაურს თავად მეკარეც გამოეხმაურა. მოგეხსენებათ, მას „რეალი" და „მანჩესტერი" უტრიალებენ, მაგრამ ფეხბურთელი და „იუვენტუსი" ერთმანეთთან განშორებას არ აპირებენ.

„ამაზე საუბარიც არ არის, არსად წასვლას არ ვაპირებ. „იუვენტუსში" ჩინებული გარემოა და ყველანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვფიქრობთ, რაც შემდეგ სეზონში უნდა შევძლოთ. ფეხბურთელი ნამდვილ ჩემპიონად რომ აღიარო, მას მუნდიალი, ევროპის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა უნდა ჰქონდეს მოგებული. ეროვნული ნაკრების არანაკლებად მჯერა, მაგრამ წარმატების მიღწევის უფრო დიდი შანსი მაინც კლუბთან ერთად მაქვს. ამისთვის განსაკუთრებული რამ არ გვჭირდება, უბრალოდ, ერთი ან ორი ახალი და ძლიერი მოთამაშე უნდა შევიმატოთ. შესაძლოა, ასეთი კასანოც აღმოჩნდეს, მაგრამ ამ თემაზე კომენტარისგან ჯობს ახლა თავი შევიკავო" — განაცხადა ბუფონმა.

მოკლე კომენტარი გააკეთა ტურინელთა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმაც: „ბუფონს დარჩენა უნდა, ხოლო ჩვენ მის გაყიდვას არ ვაპირებთ. საკითხი დახურულია. რაც შეეხება კასანოს, თუ იგი არ დაგვემატება, ტრაგედია ნამდვილად არ არის. „იუვენტუსი" ისედაც საკმაოდ ძლიერია".

ბოლოს ვთქვათ, რომ „ბებერმა ქალბატონმა" წარმატებით დაიწყო თავისი აზიური ტურნე — პირველ მატჩში ტურინელებმა ალესანდრო დელ პიეროს გოლით „იოკოჰამა მარინოსს" 1:0 მოუგეს.

გიორგი კაკაბაძე

ამბავი, რომ ფრანჩესკო ტოტიმ „რომასთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა, უკვე ორი დღისაა და ამაზე უკვე გვეწერა, ქვემოთ იმაზე გვექნება ლაპარაკი, თუ რა მიზეზით გადაწყვიტა კაპიტანმა დედაქალაქელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმება

რა გინდა ფრანჩესკო?
კასანო ტოტის აწბილებს

ფრანჩესკო ტოტიმ, მარად რომაელი დავრჩებიო

ახალი კონტრაქტი 2010 წლამდეა, ხელმოწერისთანავე კი ტოტიმ შემდეგი თქვა: „მე უბრალოდ ვერ წარმომიდგენია საკუთარი თავი სხვა გუნდის მაისურით. ამიტომ „რომას" ერთგულების გარდა, კონტრაქტზე ხელმოწერისას არანაირი მოტივი არ მქონია. მე მჯერა ჩვენი კლუბის და მისი ახალი მწვრთნელის".

აქ წამით შეეჩერდეთ და გავიხსენოთ, რომ ლუიჯი დელ ნერის წასვლის მერე, „რომა" ბრუნო კონტიმ ჩაიბარა, მაგრამ სეზონის დასრულების მერე ისიც წავიდა და ვინ უხელმძღვანელებს რომაელებს მომდევნო სეზონში, ჯერაც უცნობია. ამდენად, ტოტი X-მწვრთნელს უცხადებს ნდობას.

მერე ტოტიმ თქვა: „შეთავაზებები მქონდა, მაგრამ მე „რომასთან" ერთად მსურს ტიტულების მოხვეჭა. მერწმუნეთ, „რომაში" მოგებული ერთი ჯილდო მირჩევნია, სხვა კლუბში მოგებულ ათასს. ახლა ბედნიერი ხანა მიდგას. ბედნიერი თვე გამოდგა. „რომა" უეფას თასზე გავიდა, კოპა იტალიას ფინალშიც ვართ და სულ მალე ილარიზეც ვიქორწინებ".

ტოტის მომდევნო კომენტარი, მართალია მის ახალ კონტრაქტს არ ეხება, მაგრამ მაინც საინტერესო უნდა იყოს: „ანტონიო კასანო? გაწბილებული დავრჩები, ის ჩვენგან თუ წავა".

— ფრანჩესკო, თქვენ სეზონში 7.5 მილიონ გირვანქას მიიღებთ — ჰკითხეს კაპიტანს — ეს უზარმაზარი თანხაა. როგორ ფიქრობთ, „რომა" რომელიმე სხვა ფეხბურთელისთვსი შეძლებს ამხელა თანხის შეთავაზებას?

— რონალდინიო თუ ჩამოვა...

ბოლოს კი ვთქვათ, რომ მარჩელო ლიპიმ ტოტი ნორვეგიასთან მატჩისთვის არ გამოიძახა, რაზეც ფეხბურთელმა თქვა, ძალიან კი დავღონდი, მაგრამ რა ვუყოთ, ლიპიმ დამირეკა და თავისი გადაწყვეტილების მიზეზი ამიხსნა, მაგრამ მოდით, ამაზე ნუ მალაპარაკებთო.

კოტე კეკელია

როსელიმ როლზე უარი თქვა

სანდრო როსელიმ „ბარსელონა" დატოვა

„ჩემი თანამდებობიდან წასვლა ხუან ლაპორტას ბანაკის დასუსტებას არ ნიშნავს. უბრალოდ, ჩვენ რიგ საკითხებზე ვერაფრით შევთანხმდით. უპირველეს ყოვლისა, იმ თავდაპირველ პროექტს ვგულისხმობ, რომლის განსახორციელებლად თავიდან ყველა ერთობლივად შრომობდა, მაგრამ შემდეგ უთანხმოება ჩამოვარდა და მეც გადადგომა გადავწყვიტე" — განაცხადა სანდრო როსელიმ, „ბარსელონას" აწ უკვე ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა ჟურნალისტებთან შეხვედრაში.

მაგრამ, მიუხედავად მომხდარისა, როსელი ლაპორტაზე ნაწყენი მაინც არაა: „ყოველგვარი წყენისა და ბოღმის გარეშე მივდივარ. ვიცი, რომ ჩემი სამუშაოს მთავარი შემფასებელი ხუან ლაპორტა კი არა, გულშემატკივრები და ფეხბურთელები არიან, ისინი კი, დარწმუნებული ვარ, ცუდად არ გამიხსენებენ" — დასძინა ბოლოს როსელიმ.

ლადო ხომერიკი

ლაციო, პაპადოპულო აღარა გყავს



ჯუზეპე პაპადოპულო მადლობით გაისტუმრეს

„ლაციო" და ჯუზეპე პაპადოპულო გაიყარნენ — დედაქალაქური კლუბი ახალი მწვრთნელის ძებნას იწყებს. თუმცა სანამ სავარაუდო კანდიდატებს მივადგებით, კლუბის ოფიციალური განცხადება ვნახოთ: „ჯუზეპე პაპადოპულოს კონტრაქტის ვადა 30 ივნისს იწურება და აღარ განახლდება. პაპადოპულო მადლობას უხდის კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს, მწვრთნელებს და ფეხბურთელებს გაწეული მუშაობისთვის. ის ასევე მადლობას უხდის გულშემატკივრებს, კლუბისთვის მძიმე პერიოდში გამოჩენილი მხარდაჭერისთვის".

ჩვეულებრივი განცხადებაა და მასში საინტერესო ვინძლო, ბევრიც არაფერი იყო. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, თუ ვინ გახდება „ლაციოს" ახალი მესაჭე.

მას მერე, რაც ჯოვანი ტრაპატონისთან მოლაპარაკებამ დედაქალაქელებს შედეგი არ მისცა, ლოტიტო სხვა ვარიანტებს განიხილავს. ჩამოვთვალოთ: „ტორინოს" და „რეჯინას" ყოფილი ბოსი ჯანკარლო კამოლეზე, ლეჩელი ზდენეკ ზემანი, ატალანტელი დელიო როსი და ემპოლელი მარიო სომა.

ამათ შორის უმჯობესის ვინაობა, ალბათ, მალე გარკვევა.

კოტე კეკელია

ხერარდმა ბარსელონას ჩემპიონთა ლიგა არ უსურვა



ხერარდ ლოპესი კარიერას „მონაკოში“ გააგრძელებს

კატალონიელი ნახევარმცველი ხერარდ ლოპესი ამიერიდან „ბარსელონაში“ აღარ ითამაშებს. ფეხბურთელმა, რომელსაც ესპანური „ვილიარეალი“ და იტალიური „ფიორენტინა“ ეპატიჟებოდნენ, საბოლოოდ ფრანგულ „მონაკოში“ გადასვლა არჩია.

„ეს ჩემთვის, როგორც ბედნიერი, ისევე სევდიანი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ „მონაკოში“ გადავდივარ, „ბარსასთან“ განშორება მაინც ძალიან მიმძიმს“ — განაცხადა ხერარდმა პრესკონფერენციაზე.

ფეხბურთელი ახალ გუნდში სულ მცირე, ოთხი სეზონის მანძილზე დაჰყოფს, თუმც დაბეჯითებით ამბობს, „ბარსაში“ კიდევ დაბრუნდება და თავის სათქმელს მაშინ იტყვის.

„ბარსელონაში“ ხუთი ბედნიერი წელიწადი გავატარე. მოხარული ვარ, რომ მეგობრებთან ერთად გუნდის გამარჯვებებში წვლილის შეტანა მეც შევძელი. აქ ყველა ჩემი ახლობელი ადამიანი რჩება და ცხადია, გარკვეული ხნის შემდეგ დაბრუნებაზე უარს არ ვიტყვი“.

ბოლოს ჟურნალისტები ხერარდს იმაზეც შეეკითხნენ, ძველ გუნდს რას უსურვებო.

„რა თქმა უნდა, ბევრი ჯილდოს მოგებას. მინდა „ბარსა“ გაისადაც პრიმერას ჩემპიონი გახდეს და „კოპა დელ რეის“ მფლობელიც შეიქნეს. ჩემპიონთა ლიგაზე კი რა გითხრათ, ამ ტურნირში სექტემბრიდან ჩემი ახალი კლუბი, „მონაკოც“ ითამაშებს“ — ეშმაკურად განმარტა ხერარდმა.

ლადო ხომერიკი



მარეკ იანკულოვსკიმ თქვა, ოჯახთან ერთად მილანში ბედნიერი ვიქნებიო

„მილანში“ გადასვლით გახარებულმა მარეკ იანკულოვსკიმ მცირე პრესკონფერენცია მოაწყო, მან მომავალზე ილაპარაკა.

არის, ასრულდა ოცნება! იანკულოვსკი გაიზარდა

„ჩემი დიდი ხნის ოცნება ახდა და ძალიან ბედნიერი ვარ. ერთი სული მაქვს, როდის გავალ „სან სიროზე“ და უამრავი ქომაგის თვალწინ ვითამაშებ. ახლა 28 წლის ვარ და, ჩემი აზრით, ზუსტად შესაფერისი დროა კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდის ჩასატარებლად. მინდა, მადლობა გადავუხადო „უდინეზეს“, სადაც ძალიან გავიზარდე, როგორც ფეხბურთელი და პროფესიონალად ჩამოვყალიბდი“ — აღნიშნა ჩეხმა ნახევარმცველმა.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის ბოლოს იანკულოვსკიმ საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და უკვე ოპერაციაც გაიკეთა. ექიმების თქმით, იგი დაახლოებით კიდევ სამი თვე დაისვენებს. შესაბამისად, ჩეხი მომავალი სეზონის დებიუტს გამოტოვებს.

მარეკ იანკულოვსკი: ვწუხვარ, რომ მილანური კარიერის დაწყება ასე მიწევს, მაგრამ განწყობა ძალიან ოპტიმისტურია. ექიმებმა დამიდასტურეს, რომ პრობლემა აღარ არის და სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ ბოლომდე გამოვჯანმრთელდები“.

თანხა, რომელიც „მილანმა“ მასში გადაიხადა, ჯერჯერობით ისევ უცნობია, მაგრამ იტალიური პრესა იუწყება, რომ „უდინეზემ“ დაახლოებით 8,5 მილიონი ევრო მიიღო. ყოველ შემთხვევაში, „სტადიო ფრიულის“ ბინადრებმა იანკულოვსკის ტრანსფერში აღებული ფულის დიდი ნაწილი უკვე დახარჯეს, რადგან მათი სამი მოთამაშე დაიმატეს.

დიდი ხანია, უდინელებს პორტუგალიელი ნახევარმცველის, ჟოზე ვიდიგალის შეძენა სურდათ და საბოლოოდ „ლივორნოსთან“ შეთანხმება შეძლეს. ვიდიგალის გარდა, ლუჩანო სპალეტის გუნდმა სერია **B**-ს ბინადარი „ტრევიზოს“ ორი გამორჩეული მოთამაშე — პაულუ ვიტორ დე სოუზა ბარეტო და ანტონინო დაგოსტინო აიყვანა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების მიუხედავად, გუნდის გამოცვლას აპირებს თავდამსხმელი ვინჩენცო იაკინტა.

„ყველა ფეხბურთელი ოცნებობს რომელიმე გრანდში გადასვლაზე და გამონაკლისი, ცხადია, არც მე ვარ. იმედია, გუნდი ჩემში ძალიან დიდ თანხას არ მოითხოვს და მსურველებს არ დააფრთხობს. თუმც, „უდინეზეში“ დარჩენასაც არ გამოვრიცხავ. ეგებ ახლა ასეც ჯობდეს“ — თქვა ფორვარდმა.

იაკინტას დარად ფიქრობს მისი ჩილელი თანაგუნდელი დავიდ პიზაროც, ხოლო გუნდის დანიელ ლეგიონერ მარტინ იორგენსენს „ფიორენტინაში“ დარჩენა უნდა.

„იმედია, კლუბები შეთანხმებას მიაღწევენ და „ფიორენტინაში“ დავრჩები. აქ თავს კარგად ვგრძნობ და მინდა დავამტკიცო, რომ მალალ დონეზე თამაში ისევ შემიძლია“ — განაცხადა იორგენსენმა.

გიორგი კაკაბაძე

სად არის დელ ბოსკე?

დეპორტივოს პრეზიდენტი მადრიდში ნადირობს



გალისიური „დეპორტივოს“ პრეზიდენტი აუგუსტო სესარ ლენდოირო გუშინ მადრიდში ახალი მწვრთნელის საძებნელად ჩავიდა. როგორც უკვე იცით, ლაკორუნიული კლუბის თავკაცები შვიდწლიანი შესანიშნავი პერიოდის შემდეგ ხავიერ ირურეტას დაემშვიდობნენ, შესაბამისად, გუნდი უმწვრთნელოდაა. ამიტომაც გაემგზავრა სენიორ ლენდოირო ლენდოირო მადრიდში, სასურველი კაცის მოსაძებნად

მის სიაში კი ერთობ ტიტულიანი კანდიდატები არიან — „ბილბაოს“ მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე, „ლევანტეს“ ყოფილი თავკაცი, გერმანელი ბერნდ შუსტერი და „ოსასუნას“ მექსიკელი დამრიგებელი ხავიერ აგირე.

როგორც ლენდოიროსთან დაახლოებული პირები ამბობენ, „დეპორის“ მწვრთნელის პოსტს უფრო ეს უკანასკნელი დაიკავებს, თუმც სავარაუდო, თავკაცთა ჩამონათვალი ამით არ მთავრდება: გაზეთ „ასის“ ცნობით, „დეპორტივოს“ გაწვრთნის სურვილი ჰოლანდიელ რონალდ კუმანსა და ესპანელ ვიქტორ ფერნანდესსაც ჰქონიათ.

აქამდე კიდევ ორ კანდიდატურაზე საუბრობდნენ, მაგრამ ისინი მედიამ უკვე გამორიცხა — ხოაკინ კაპაროსმა და ვიქტორ მუნიოსმა თავ-თავიანთ გუნდებთან, „სევილიასთან“ და „სარაგოსასთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივეს.

და სად არის დელ ბოსკე? ალბათ გახსოვთ, ერთი ხნის წინ ლაპარაკი მასზეც იყო.

ლადო ხომერიკი

ბაევიჩი რივალდოს გაუშვია



რივალდოს სათადარიგოთა სკამზე დასმა საბერძნეთშიც შეჰკადრეს

სერბი სპეციალისტი დუშან ბაევიჩი ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ ემშვიდობება.

მას შემდეგ, რაც ბაევიჩმა ელინურ გუნდთან ერთად იქაური პირველობა და თასი ერთად მოიგო, მისი პირეოსიდან გაქცევა ძალიან მოულოდნელი იყო. საქმე ისაა, რომ ბალკანელი დამრიგებელი მძიმე ხასიათისთვის მოიძულეს გულშემატკივრებმა.

„ამ გუნდისთვის რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. „ოლიმპიაკოსს“ სუფთა სინდისით ვტოვებ. ცუდია, რომ პრესაში რაღაც სისულელეები იბეჭდებოდა ჩემსა და გუნდის მოთამაშეთა შორის კონფლიქტის შესახებ. ეს სიმართლე არ არის“ — განაცხადა ბაევიჩმა თავის გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე.

მის მიერ ნახსენები „სისულელეები“ გუნდის ბრაზილიელ რივალდოსთან არცთუ შეხმატკბილებული ურთიერთობა ყოფილა — მწვრთნელმა გასულ სეზონში დიდებულად მოთამაშე რივალდო რამდენჯერმე სათადარიგოთა სკამზე დასვა და ფანებმაც ობსტრუქცია ამიტომ მოუწყვეს. ელინებს ხომ ბრაზილიელი სიგიჟემდე უყვართ.

ფაქტიც სახეზეა, რივალდოს „დაჩაგვრას“ მწვრთნელი შეეწირა.

ლადო ხომერიკი



საუკუნე გავყოთ ორზე

ფლები მარიო კემპესსაც ემატება

მარიო კემპესი დღეს და...

ქვემოთ გთავაზობთ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული და სწრაფი ფორვარდის, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელისა და ბომბარდირის, არგენტინელი მარიო კემპესის ინტერვიუს. კემპესი სულ ცოტა ხნის წინ 50 წლის გახდა და ინტერვიუც სწორედ ამის გამოა ჩამორთმეული, ჩვენგან კი ქართულად თარგმნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

... 27 წლის წინ

ფეხბურთის ენა უნივერსალურია

როდესაც უცხოეთში თამაშობ ან მუშაობ — მნიშვნელობა არ აქვს, რა ჰქვია ამ ქვეყანას — ვალდებული ხარ, მარად საუკეთესო იყო, ენობრივი ბარიერი კი მხოლოდ მოედნის გარეთ თუ შეგიშლის ხელს. მახსოვს, ინდონეზიაში რომ ვმუშაობდი, ჩემდა ბედად გუნდში იტალიელი ფეხბურთელი ჰყავდათ, ჰოდა, რამდენიმე ადგილობრივ სიტყვას პლუს ცოტა იტალიური და ცოტაც დამტვრეული ინგლისური, უკვე შედეგს იძლეოდა — ამას უკვე ლაპარაკი ერქვა. ალბანეთში, რამდენიმე მოთამაშემ იტალიური იცოდა, მაგრამ ასეა თუ ისე, ფეხბურთელებისთვის დავალების მიცემის მხრივ ენა ბევრს არაფერს ცვლის. იმისთვის, რომ ფეხბურთელებმა შენი ინსტრუქციები გაიგონ, საჭიროა დაფა, ფანქარი და ისრებით მიმართულებების აღნიშვნა. თუ მოთამაშეები დავალებას ვერ იგებენ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შენ ენის პრობლემა გაქვს, არამედ იმას, რომ მათ ნათქვამის გაგება და შესრულება არ უნდათ. მეორეს მხრივ, თუ უცხო ქვეყანაში ხარ, იქაური ენისადმი ინტერესი უნდა გამოიჩინო.

ხიფათი ყიდევ სხვა რამ არის

ეგზოტიკურ ქვეყნებში მუშაობის მომხრე აშკარად გახლავართ, მაგრამ ამაში საკუთარი სიცოცხლის ხიფათში ჩაგდებას არ ვგულისხმობ. საქმე ისაა, რომ მხოლოდ ჩემს თავზე არ ვარ პასუხისმგებელი, ოჯახი მყავს, და ბედთან თამაში მათ წინაშე იქნებოდა დიდი უსამართლობა. მეტაფორულად რომ ვთქვა, ალბანეთს მაშინ გადავურჩი, როდესაც ქვეყანა ინგრეოდა, ხოლო ინდონეზიაში ყოფნისას, მოედანზე ხალხი შემოცვივდა, თამაში კი მაინც ჩამთავრდა. ჩემი გუნდი თამაშობდა პირობებში, როდესაც ასეულობით ადამიანი ფეხბურთელებს აგინებდა და ათასგვარ საგნებს ესროდა.

ინტეგრაცია

უცხოეთში აუცილებლად უნდა გამოამჟღავნო ინტერესი იმ ქვეყნისა და ხალხისადმი. შესაძლოა, ენა ვერ ისწავლო, მაგრამ თუ ერთი მათგანივით იქცევი და სხვანაირობას არ ცდილობ, უსიამოვნებები აგცდება. თუ გაიპრანჭები და ვარსკვლავობას დაიწყებ, სავარაუდოდ, პრობლემებს უნდა ელოდო.

ხელი, ბიჯო, ინდონეზიელის თავიდან

ახალგაზრდობაში „როსარიო სენტრალში" რომ ვთამაშობდი, ინდონეზიაში მოგვიწია ტურნემ და პირველად სწორედ მაშინ გავიგე, თურმე ამ ქვეყანაში თავზე შეხება ძალიან დიდ შეურაცხყოფად ითვლება.

ეს ასე იყო: თამაში რომ დაიწყო, ერთ ეპიზოდში, ერთ-ერთი ინდონეზიელი ფეხბურთელი ჩვენიანის მხრიდან წესის დარღვევის გამო წაიქცა. ის ჩვენიანი ანუ წამქცევი მივიდა წაქცეულთან და თავზე ხელი გადაუსვა, რითაც მოეფერა და მოუბოდიშა. თავზე შეეხოო... თვალის დახამხამებაში საშინელ ორომტრიალში აღმოვჩნდით, გარშემო ყველაფერი ინგრეოდა.

გავიდა წლები, ინდონეზიაში სამუშაოდ მომიწია წასვლამ და აღმოვაჩინე, რომ თავზე ხელის გადასმას იქაურები საკმაოდ მოხერხებულად იყენებენ, არასასურველი მატჩების ჩასაშლელად და სკანდალების მოსაწყობად.

ვინ არის მწვრთნელი?

ხშირად ჰგონიათ, რომ კარგი ფეხბურთელი, აუცილებლად კარგი მწვრთნელი დადგება. სისულელეა, იღბლიანი ფეხბურთელი კარიერის მანძილზე ძალიან ბევრ დიდებულ მწვრთნელს ხვდება და თითქოს მეტი რა გინდა, მიდი და ისწავლე, მაგრამ ასე არ ხდება. მწვრთნელობისთვის სრულიად სხვადასხვა საგნებსა და სფეროებს უნდა ჩაუღრმავდე. მერედა, მწვრთნელობა და მამობა ერთი და იგივე არ არის, რადგან მამა თავადაა ყველაფერზე პასუხისმგებელი და ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. მწვრთნელი კი თავად გახლავთ მოთამაშეებზე დამოკიდებული, თან მნიშვნელოვნად.

და კიდევ, ცუდი შედეგის შემთხვევაში, ოცდაათ ფეხბურთელს სამსახურიდან არავინ გაუშვებს, გაუშვებენ ერთ მწვრთნელს.

საუკეთესო ქვეყანა

საუკეთესო ქვეყანა ისაა, რომელიც სამსახურს გთავაზობს. ნურავის შეეშინდება ეგზოტიკურ ქვეყანაში წასვლის. თუ უმუშევარი ხარ, სამსახური ძალიან ბევრს ნიშნავს, ამიტომ უბრალოდ, უნდა ადგე, ჩაალაგო ჩემოდანი და სადაც ჩახვალ, იქაური საჭმელი უნდა მიირთვა და იქაურად გაატარო დღეები.

მსოფლიოს ჩემპიონი

ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონი და იმ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. კი ბატონო, ხალხს ახსოვხარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სადაც წახვალ, ყველგან თავიდან გაქვს შენი გასატანი და დასამტკიცებელი.

მაშინ, 1978 წელს, მსოფლიოს ჩემპიონები რომ გავხდით, მოედანი იმდენი გაგიჟებული ადამიანით გაივსო, რომ თასს ვერც კი მივეკარე. გარდა ამისა, დანიელ პასარელამ, როგორც კაპიტანმა, ხელი რომ სტაცა მას, აღარ გაუშვა. ერთი სიტყვით, შემდეგ წელიწადს, კორდობაში, თასის შოკოლადისგან გაკეთებული ასლი მომცეს და ეგ იყო.

სხვათაშორის, ჩემი თამაშების ვიდეოჩანაწერები არ მაქვს, არადა, სიბერისთვის მომარაგება და პატარა ვიდეობიბლიოთეკის შექმნა ცუდი არ იქნებოდა. თანაც ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, 1978 წლის ამბები მიტრიალებს-ხოლმე გონებაში.

წაგება მძულს

წაგებას ვერ ვიტან და ფეხბურთელობისას, წინა მატჩიდან შვიდი დღის გავლას ანუ შემდგომ მატჩს ყოველთვის მოუთმენლად ველოდი. ახლა, თამაშიდან თამაშამდე შუალედი სამ-ოთხ დღემდეა შემცირებული და ეს ძალიან მახარებს.

და განა მარტო ფეხბურთში? ცხოვრებაშიც ასეა, რაიმე საქმე დღეს თუ არ გამოდის, ხვალ აუცილებლად გამოვა. მოედანზეც, თუ ეს მცველი დღეს მკეტავს, რამდენიმე დღის შემდეგ აუცილებლად დადგება ჩემი დღე. ოდესმე თუ ვნებდები? არასდროს. თუ გონებით კაპიტულანტი ხარ, აუცილებლად წააგებ და წარმატებას ვერასდროს მოიპოვებ.

თამაშებს სახელი არ იგებს

1982 წელს ფანტასტიკური გუნდი გვყავდა, პლუს მარადონა... მაგრამ წავაგეთ. მოკლედ, რაც გინდა გერქვას, თუ შეცდომებს დაუშვებ, დამარცხდები. სხვათაშორის, მაშინ ზედმეტმა თავდაჯერებამაც წაგვაგებინა.

ხშირად მეკითხებიან, 30 წლით გვიან რომ დაბადებულიყავი, რას მიაღწევდიო. ალბათ მულტი-მილიონერი ვიქნებოდი, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი სისულელეა. ყველას თავისი ცხოვრება აქვს, საზრუნავი კი ხვალინდელი დღეა.

პიჩიჩი

პიჩიჩი ანუ ესპანური ლა ლიგას საუკეთესო ბომბარდირის ტიტული რომ მოვიგე, მითხრეს, იმხელა ჯილდოს მიიღებ, ინანებ ბომბარდირი რომ გახდი, სახლში კარის გადაკეთება მოგიწევს, თორემ ვერ შეიტანო. მერე მივედი დაჯილდოების ცერემონიალზე და მომცეს... ერთი ციცქნა რაღაც ჯიბეში ჩავიდე და ისე გავეშურე შინისკენ. დღემდე ვფიქრობ, ნეტავ მართლა ეგ იყო ჯილდო?

მარადონა და პელე

ამ ორ საუკეთესოს შორის მტრობას აზრი არ აქვს. სხვადასხვა ეპოქები ჰქონდათ, სხვადასხვანაირ დაცვებს ებრძოდნენ, სხვადასხვანაირ ბურთს აგორებდნენ... მე თუ მკითხავთ, ფეხბურთს ეს ორი მონსტრი ჰყავდა.

გუნდი

ჯობს ერთი მოაზროვნე და ცხრა მორბენალი გყავდეს, ვიდრე პირიქით. თან ფეხბურთი სულ უფრო სწრაფი ხდება. ორი წლის წინ, სამხრეთ ამერიკას თავისი ტემპი ჰქონდა, დღეს კი შეხედავ კოპა ლიბერტადორესს და რწმუნდები, რომ უეფას ჩემპიონთა ლიგისგან არაფრით განსხვავდება.

ეტორო

ეს ფეხბურთელი პატარა კლუბის შემადგენლობაში ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა, შემდეგ დიდ გუნდში გადავიდა და ისევ ისე იბრძვის.

ივივე შეიძლება ძალიან ახალგაზრდა უეინ რუნიზე ვთქვა.

მარიო კემპესისთვის მეურვეების ჩამოცილება პრობლემა არ იყო

სარბიელი და კროსი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია B						
		4 ივნისი						
22:30	20	პიაჩენცა-ჯენოა	7.5	2.3	1.65	1.76	1.35	1.0
22:30	22	ჩეზენა-ტერნანა	1.3	3.7	7.0	1.0	1.09	2.42
22:30	24	მოდენა-ტრევიზო	1.65	2.9	5.7	1.05	1.27	1.92
22:30	25	პერუჯა-ტრიესტინა	1.55	2.8	6.5	1.0	1.25	1.95
22:30	26	პესკარა-კროტონე	2.05	2.8	3.5	1.18	1.29	1.55
22:30	27	სალერნიტანა-ასკოლი	2.1	2.6	3.8	1.16	1.35	1.54
22:30	28	ტორინო-ალბინოლეფე	1.15	4.6	9.0	1.0	1.01	3.04
22:30	30	ვიჩენცა-ბარი	1.4	2.9	7.0	1.0	1.16	2.05
		დანია. I დივიზიონი						
		4 ივნისი						
17:00	44	დალუმი-ნესტვედი	2.05	3.8	2.8	1.33	1.18	1.61
17:00	45	ბრიონსჰიოი-ვეილე	2.65	3.6	2.2	1.52	1.2	1.36
		5 ივნისი						
15:00	46	აკადემისკი-სკიოლდი	2.05	3.8	2.8	1.33	1.18	1.61
15:00	47	ბ 93-ჰელერუპი	3.6	3.7	1.8	1.82	1.2	1.21
15:00	48	იოლსტიკე-სიონდერიისკე	3.8	4.0	1.7	1.94	1.17	1.19
17:00	50	კიოგე-ფრედერისია	1.55	3.8	5.0	1.1	1.18	2.15
17:00	51	ნიკიობინგი-ფრემადი	2.4	3.7	2.45	1.45	1.21	1.47
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		5 ივნისი						
18:00	53	ალტა-ჰიოდი	2.35	4.0	2.4	1.48	1.18	1.5
20:00	54	ბრინი-სკეიდი	1.35	5.0	6.0	1.06	1.1	2.72
20:00	55	ჰიონეფოსი-კონგსვინგერი	2.0	3.8	3.0	1.31	1.2	1.67
20:00	56	ლოვ ჰამი-ფოლო	2.0	3.8	3.0	1.31	1.2	1.67
20:00	57	მოსი-სოგნდალი	2.55	3.7	2.3	1.5	1.2	1.41
20:00	58	პორს გრენლანდი-სანდეფიორდი	3.1	4.0	1.9	1.74	1.17	1.28
20:00	60	სტრიომსგოდსეტ-ტონსბერგი	1.85	4.0	3.3	1.26	1.18	1.8
		შვედეთი. სუპერეტა						
		5 ივნისი						
18:10	67	იოსტერსი-გაის	2.4	3.3	2.6	1.38	1.24	1.45
		6 ივნისი						
18:00	68	დეგერფორსი-ბოდენსი	1.85	3.4	3.5	1.19	1.21	1.72
19:00	69	ბრომაპოიკარნა-ფრიოლუნდა	1.7	3.6	4.0	1.15	1.19	1.89
19:00	70	ნორჩიოპინგი-მიალბი	1.45	3.9	5.8	1.05	1.15	2.33
19:00	71	ტრელებორგი-იორებრო	1.8	3.6	3.8	1.2	1.22	1.84
19:00	72	ვესბი-ლიუნგსკილე	2.0	3.4	3.3	1.25	1.24	1.67
19:00	73	ფალკენბერგი-ვესტეროსი	1.9	3.4	3.5	1.21	1.23	1.72
		ფინეთი						
		3 ივნისი						
20:00	74	ჰაკა-ინტერი	1.8	3.3	3.6	1.16	1.2	1.72
20:00	75	ტპ 47-მიუპა	3.2	3.0	2.05	1.54	1.24	1.21
		4 ივნისი						
17:00	76	ჰიკ-ალიანსი	2.05	3.0	3.2	1.21	1.24	1.54
17:00	77	კუოპიო-მარიეჰამნი	2.2	3.1	2.8	1.28	1.23	1.47
		5 ივნისი						
20:00	78	კტპ-როვანიემი	1.7	3.3	4.2	1.12	1.21	1.84
		ირლანდია						
		3 ივნისი						
22:45	81	კორკი-პერპსი	1.4	3.6	7.0	1.0	1.16	2.37
22:45	82	დერი-დროგედა	2.15	3.1	2.9	1.26	1.23	1.49
22:45	83	შემროკი-ბოჰემიანი	2.6	3.0	2.45	1.39	1.26	1.34
22:45	84	სტ.პატრიკსი-ბრეი	2.0	3.1	3.2	1.21	1.23	1.57
22:45	85	დუბლინი-შელბურნი	3.4	3.2	1.9	1.64	1.21	1.19
		5 ივნისი						
18:00	80	უოტერფორდი-ლონგფორდი	2.1	3.0	3.1	1.23	1.25	1.52
		იაპონია. თასი						
		4 ივნისი						
10:00	86	ჩერეძო-ნაგოია	2.3	3.2	2.65	1.33	1.23	1.44
10:00	87	ტოკიო-კაშივა	1.85	3.2	3.6	1.17	1.22	1.69
10:00	88	იჩიჰარა-ოიტა	1.65	3.3	4.7	1.1	1.22	1.93
10:00	89	კაშიმა-შიმიცუ	1.75	3.3	4.2	1.14	1.23	1.84
10:00	90	ომია-ურავა	3.0	3.1	2.1	1.52	1.23	1.25
10:00	91	ჰიროსიმა-გამბა	2.2	3.1	2.85	1.28	1.24	1.48
10:00	92	კობე-ნიიგატა	2.5	3.1	2.45	1.38	1.23	1.36
11:00	93	კავასაკი-ვერდი	2.25	3.1	2.85	1.3	1.25	1.48
		აშშ						
		4 ივნისი						
23:45	96	სოლტ ლეიკი-დალასი	2.5	3.1	2.45	1.38	1.23	1.36
23:00	97	ჩიკაგო-ჩივასი	1.55	3.6	4.8	1.08	1,17	2.05
23:00	98	ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი	1.8	3.2	3.8	1.15	1.22	1.73
23:00	99	ნიუ ინგლენდი-კანზასი	1.75	3.3	3.9	1.14	1.2	1.78
23:00	100	სან ხოსე-ვაშინგტონი	2.05	3.1	3.2	1.23	1.24	1.57
		მჩ. შესარჩევი მატჩები						
		3 ივნისი						
19:00	145	განა-ბურკინა ფასო	1.45	3.6	7.0	1.03	1.2	2.37
21:00	146	ლიბია-კოტ დიუარი	5.8	3.4	1.55	2.14	1.22	1.06
18:00	154	ანგოლა-ალჟირი	1.8	3.2	4.1	1.15	1.25	1.79
17:00	196	უზბეკეთი-ს.კორეა	4.3	3.2	1.7	1.83	1.21	1.11
22:05	197	ს.არაბეთი-კუვეიტი	1.8	3.2	4.0	1.15	1.24	1.77
18:30	198	ირანი-კორეა	1.25	4.9	9.5	1.0	1.1	3.23
20:30	199	ბაჰრეინი-იაპონია	4.0	3.2	1.8	1.77	1.24	1.15
		4 ივნისი						
18:00	101	რუსეთი-ლატვია	1.35	4.2	8.0	1.02	1.15	2.75
18:00	102	შოტლანდია-მოლდოვა	1.45	3.9	6.5	1.05	1.18	2.43
19:00	103	აზერბაიჯანი-პოლონეთი	8.0	4.8	1.3	3.0	1.11	1.02
19:00	104	ესტონეთი-ლიხტენშტაინი	1.25	5.0	9.0	1.0	1.09	3.21
19:00	105	სომხეთი-მაკედონია	2.7	3.3	2.3	1.48	1.24	1.35
19:00	106	ჩეხეთი-ანდორა	1.01	12.0	35.0	1.0	1.0	8.93
19:00	107	ბულგარეთი-ხორვატია	2.4	3.2	2.7	1.37	1.27	1.46
19:15	108	შვედეთი-მალტა	1.02	10.0	30.0	1.0	1.0	7.5
19:30	109	ფარერები-შვეიცარია	12.0	6.0	1.15	4.0	1.04	1.0
20:15	110	უკრაინა-ყაზახეთი	1.05	10.0	25.0	1.0	1.0	7.14
21:00	111	ბელარუსი-სლოვენია	2.15	3.0	3.3	1.25	1.3	1.57
22:00	112	თურქეთი-საბერძნეთი	2.0	3.0	3.6	1.2	1.28	1.63
22:05	113	ისლანდია-უნგრეთი	2.6	3.0	2.55	1.39	1.28	1.37
22:15	114	სერბია-ბელგია	1.7	3.4	4.6	1.13	1.24	1.95
22:30	115	ნორვეგია-იტალია	3.5	3.1	2.05	1.64	1.29	1.23
22:30	116	სან მარინო-ბოსნია	12.0	6.0	1.15	4.0	1.04	1.0
22:30	117	ირლანდია-ისრაელი	1.5	3.8	5.8	1.07	1.19	2.29
22:30	118	ჰოლანდია-რუმინეთი	1.45	3.9	6.5	1.05	1.18	2.43
22:30	119	ალბანეთი-საქართველო	1.9	3.2	3.7	1.19	1.25	1.71
22:45	120	პორტუგალია-სლოვაკეთი	1.4	4.0	7.0	1.03	1.16	2.54

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	121	ესპანეთი-ლიტვა	1.15	6.5	12.0	1.0	1.04	4.21
17:00	147	ბოტსვანა-ტუნისი	5.8	3.5	1.55	2.18	1.22	1.07
21:00	148	კაპე ვერდე-სამხ. აფრიკა	3.5	3.0	2.05	1.61	1.29	1.21
19:00	149	ბენინი-კამერუნი	6.5	3.7	1.45	2.35	1.18	1.04
23:00	150	მაროკო-მალავი	1.15	6.5	13.0	1.0	1.05	4.33
23:00	151	დრ კონგო-უგანდა	1.55	3.5	5.8	1.07	1.22	2.18
22:00	152	ეგვიპტე-სუდანი	1.15	5.8	13.0	1.0	1.05	4.01
23:45	188	ტრინიდადი-პანამა	1.8	3.2	3.9	1.15	1.23	1.75
23:45	189	გვატემალა-მექსიკა	5.2	3.4	1.6	2.05	1.22	1.08
23:45	190	აშშ-კოსტა რიკა	1.5	3.8	5.5	1.07	1.17	2.24
23:45	191	ვენესუელა-ურუგვაი	2.65	3.1	2.5	1.42	1.28	1.38
23:45	192	ჩილე-ბოლივია	1.5	3.6	5.8	1.05	1.19	2.22
23:45	193	ეკვადორი-არგენტინა	3.9	3.3	1.8	1.78	1.23	1.16
23:45	194	კოლუმბია-პერუ	1.75	3.2	4.5	1.13	1.25	1.87
		5 ივნისი						
17:00	153	ზიმბაბვე-გაბონი	1.7	3.3	4.8	1.12	1.25	1.95
18:30	155	კონგო-სენეგალი	7.0	3.5	1.45	2.33	1.2	1.02
19:30	156	ტოგო-ზამბია	2.05	3.1	3.2	1.23	1.24	1.57
21:00	157	მალი-ლიბერია	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83
20:30	158	გვინეა-კენია	2.1	3.2	3.0	1.26	1.23	1.54
18:00	159	რუანდა-ნიგერია	7.0	4.0	1.35	2.54	1.13	1.0
23:00	195	ბრაზილია-პარაგვაი	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88
		ამხანაგური მატჩი						
		4 ივნისი						
18:00	184	ჩრდ.ირლანდია-გერმანია	7.0	3.9	1.4	2.5	1.16	1.03
		ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)						
		3 ივნისი						
17:00	123	აზერბაიჯანი (21)-პოლონეთი(21)	6.0	4.3	1.4	2.5	1.13	1.05
18:00	124	ალბანეთი(21)-საქართველო(21)	1.7	3.3	4.5	1.12	1.23	1.9
19:00	125	ბულგარეთი (21)-ხორვატია(21)	2.9	3.1	2.2	1.49	1.25	1.28
19:30	126	სერბია(21)-ბელგია(21)	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69
20:00	127	უკრაინა(21)-ყაზახეთი (21)	1.05	8.0	13.0	1.0	1.0	4.95
20:00	128	ბელარუსი(21)-სლოვენია(21)	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
21:00	129	შვედეთი(21)-მალტა(21)	1.05	8.5	15.0	1.0	1.0	5.42
21:00	130	ირლანდია(21)-ისრაელი (21)	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69
21:30	131	ჰოლანდია(21)-რუმინეთი(21)	1.75	3.3	4.0	1.14	1.21	1.8
22:00	132	ნორვეგია(21)-იტალია(21)	3.2	3.1	2.0	1.57	1.23	1.21
22:00	133	თურქეთი(21)-საბერძნეთი(21)	1.9	3.1	3.5	1.17	1.23	1.64
23:45	134	ესპანეთი(21)-ლიტვა(21)	1.1	6.5	15.0	1.0	1.02	4.53
22:00	135	ისლანდია(21)-უნგრეთი(21)	2.2	3.1	2.8	1.28	1.23	1.47
22:30	136	სან მარინო(21)-ბოსნია(21)	9.0	5.3	1.2	3.33	1.05	1.0
22:45	137	შოტლანდია(21)-მოლდოვა (21)	1.5	3.7	5.5	1.06	1.17	2.21
23:45	138	პორტუგალია(21)-სლოვაკეთი(21)	1.3	4.5	7.5	1.0	1.1	2.81
		4 ივნისი						
14:00	122	სომხეთი(21)-მაკედონია(21)	2.9	3.2	2.2	1.52	1.25	1.3
13:00	139	რუსეთი(21)-ლატვია(21)	1.25	4.8	8.5	1.0	1.08	3.06
		საფრანგეთი. თასი						
		4 ივნისი						
22:45	141	ოსერი-სედანი	1.7	3.2	4.5	1.11	1.23	1.87
		ჰოლანდია. პლეი ოფი						
		3 ივნისი						
22:00	214	ვენლო-ვოლენდამი	2.9	3.4	2.1	1.56	1.21	1.29
22:00	215	როზენდალი-ტელსტარი	1.6	3.7	4.5	1.11	1.18	2.03
22:00	216	ზვოლე-ჰელმონდი	2.6	3.6	2.25	1.5	1.2	1.38
22:00	217	სპარტა-გრააფსხაპი	1.7	3.3	4.2	1.12	1.21	1.84
		ჩოგბურთი. კაცები						
		ფიურტი. თიხნარი						
		3 ივნისი						
14:00	343	ბერენდი-მასონი	1.25					2.9
14:00	344	პორტასი-დარსისი	1.45					2.3

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია						
		სერია C1. პლეი ოფი						
		5 ივნისი						
18:00	206	მანტოვა-ფროზინონე	1.9	2.8	4.1	1.13	1.29	1.66
18:00	207	პავია-გროსეტო	2.05	2.5	4.0	1.12	1.30	1.55
18:00	208	აველინო-რეჯინა	1.85	2.7	4.7	1.09	1.32	1.71
18:00	209	ნაპოლი-სამბენედეტეზე	1.65	2.8	6.2	1.03	1.3	1.92
		იტალია						
		სერია C1. პლეი აუტი						
		5 ივნისი						
18:00	210	ნოვარა-კომო	1.95	2.8	3.9	1.14	1.29	1.62
18:00	211	ფ.ანდრია-ვიტორია	2.05	2.6	3.9	1.14	1.34	1.55
18:00	212	ფერმანა-კიეტი	1.9	2.8	4.2	1.13	1.3	1.67
18:00	213	სორა-ჯულიანოვა	1.9	2.6	4.5	1.09	1.33	1.64
		კალათბურთი. იტალია						
		3 ივნისი						
22:15	219	რომა-ბოლონია	1.8	12.0	1.9	1.56	1.0	1.64
		ჩოგბურთი.კაცები Roland Garros						
		3 ივნისი						
14:00	317	ფედერერი-ნადალი			1.65			2.0
14:00	318	დავიდენკო-პუერტა			1.6			2.0
		ფრენბურთი.კაცები						
		მსოფლიო ლიგა						
		3 ივნისი						
21:00	320	პოლონეთი-საბერძნეთი			1.4			2.4
21:00	321	საფრანგეთი-ბულგარეთი			1.25			3.0
21:00	322	იტალია-კუბა			1.3			2.9
21:00	323	არგენტინა-სერბია			1.65			2.0
		4 ივნისი						
19:00	324	პორტუგალია-ბრაზილია			3.6			1.15
23:00	325	ვენესუელა-იაპონია			1.35			2.8
		კრივი						
		3 ივნისი						
22:30	704	ს. ხარისონი-მ. ბროდი	1.4			22.0		2.65
		4 ივნისი						
23:45	703	კ. ცხიუ-რ. ხატონი	1.4			22.0		2.65



ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით


რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12101	რუსეთი-ლატვია	1.9	1.7
12102	შოტლანდია-მოლდოვა	1.7	1.9
12107	ბულგარეთი-ხორვატია	1.6	2.0
12111	ბელარუსი-სლოვენია	1.7	1.9
12112	თურქეთი-საბერძნეთი	1.6	2.0
12113	ისლანდია-უნგრეთი	1.7	1.9
12114	სერბია-ბელგია	1.7	1.9
12115	ნორვეგია-იტალია	1.6	2.0
12117	ირლანდია-ისრაელი	1.6	2.0
12118	ჰოლანდია-რუმინეთი	1.9	1.7
12120	პორტუგალია-სლოვაკეთი	1.9	1.7
12188	ტრინიდადი-პანამა	1.7	1.9
12189	გვატემალა-მექსიკა	1.9	1.7
12190	აშშ-კოსტა რიკა	1.9	1.7
12191	ვენესუელა-ურუგვაი	1.7	1.9
12192	ჩილე-ბოლივია	1.8	1.85
12193	ეკვადორი-არგენტინა	1.7	1.9
12194	კოლუმბია-პერუ	1.7	1.9
12195	ბრაზილია-პარაგვაი	2.0	1.6

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსონი დაგებულად ჩაითვლება)

14101	რუსეთი-ლატვია	1.15	2.6
14102	შოტლანდია-მოლდოვა	1.3	2.5
14107	ბულგარეთი-ხორვატია	1.75	1.85
14111	ბელარუსი-სლოვენია	1.75	2.1
14112	თურქეთი-საბერძნეთი	1.7	2.2
14113	ისლანდია-უნგრეთი	1.9	1.9
14114	სერბია-ბელგია	1.45	2.4
14115	ნორვეგია-იტალია	2.1	1.75
14117	ირლანდია-ისრაელი	1.3	2.5
14118	ჰოლანდია-რუმინეთი	1.3	2.5
14120	პორტუგალია-სლოვაკეთი	1.3	2.5
14188	ტრინიდადი-პანამა	1.6	2.3
14189	გვატემალა-მექსიკა	2.4	1.45
14190	აშშ-კოსტა რიკა	1.3	2.5
14191	ვენესუელა-ურუგვაი	1.9	1.9
14192	ჩილე-ბოლივია	1.3	2.5
14193	ეკვადორი-არგენტინა	2.3	1.55
14194	კოლუმბია-პერუ	1.45	2.4
14195	ბრაზილია-პარაგვაი	1.06	2.9

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდეთ

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15101	რუსეთი-ლატვია	3.0	2.8	2.0
15102	შოტლანდია-მოლდოვა	3.0	2.8	2.0
15107	ბულგარეთი-ხორვატია	3.0	2.8	2.0
15111	ბელარუსი-სლოვენია	3.0	2.8	2.0
15112	თურქეთი-საბერძნეთი	3.0	2.8	2.0
15113	ისლანდია-უნგრეთი	3.0	2.8	2.0
15114	სერბია-ბელგია	3.0	2.8	2.0
15115	ნორვეგია-იტალია	3.0	2.8	2.0
15117	ირლანდია-ისრაელი	3.0	2.8	2.0
15118	ჰოლანდია-რუმინეთი	3.0	2.8	2.0
15120	პორტუგალია-სლოვაკეთი	3.0	2.8	2.0
15188	ტრინიდადი-პანამა	3.0	2.8	2.0
15189	გვატემალა-მექსიკა	3.0	2.8	2.0
15190	აშშ-კოსტა რიკა	3.0	2.8	2.0
15191	ვენესუელა-ურუგვაი	3.0	2.8	2.0
15192	ჩილე-ბოლივია	3.0	2.8	2.0
15193	ეკვადორი-არგენტინა	3.0	2.8	2.0
15194	კოლუმბია-პერუ	3.0	2.8	2.0
15195	ბრაზილია-პარაგვაი	3.0	2.8	2.0

ლუდი რამდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუდად)

		ლუდი	კენტი
17101	რუსეთი-ლატვია	1.85	1.95
17102	შოტლანდია-მოლდოვა	1.85	1.95
17107	ბულგარეთი-ხორვატია	1.85	1.95
17111	ბელარუსი-სლოვენია	1.85	1.95
17112	თურქეთი-საბერძნეთი	1.85	1.95
17113	ისლანდია-უნგრეთი	1.85	1.95
17114	სერბია-ბელგია	1.85	1.95
17115	ნორვეგია-იტალია	1.85	1.95
17117	ირლანდია-ისრაელი	1.85	1.95
17118	ჰოლანდია-რუმინეთი	1.85	1.95
17120	პორტუგალია-სლოვაკეთი	1.85	1.95
17188	ტრინიდადი-პანამა	1.85	1.95
17189	გვატემალა-მექსიკა	1.85	1.95
17190	აშშ-კოსტა რიკა	1.85	1.95
17191	ვენესუელა-ურუგვაი	1.85	1.95
17192	ჩილე-ბოლივია	1.85	1.95
17193	ეკვადორი-არგენტინა	1.85	1.95
17194	კოლუმბია-პერუ	1.85	1.95
17195	ბრაზილია-პარაგვაი	1.85	1.95

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13101	რუსეთი-ლატვია	1.9	1.7
13102	შოტლანდია-მოლდოვა	1.9	1.7
13107	ბულგარეთი-ხორვატია	1.7	1.9
13111	ბელარუსი-სლოვენია	1.7	1.9
13112	თურქეთი-საბერძნეთი	1.7	1.9
13113	ისლანდია-უნგრეთი	1.7	1.9
13114	სერბია-ბელგია	1.7	1.9
13115	ნორვეგია-იტალია	1.7	1.9
13117	ირლანდია-ისრაელი	1.9	1.7
13118	ჰოლანდია-რუმინეთი	1.7	1.9
13120	პორტუგალია-სლოვაკეთი	1.7	1.9
13188	ტრინიდადი-პანამა	1.7	1.9
13189	გვატემალა-მექსიკა	1.7	1.9
13190	აშშ-კოსტა რიკა	1.7	1.9
13191	ვენესუელა-ურუგვაი	1.7	1.9
13192	ჩილე-ბოლივია	1.7	1.9
13193	ეკვადორი-არგენტინა	1.7	1.9
13194	კოლუმბია-პერუ	1.7	1.9
13195	ბრაზილია-პარაგვაი	1.7	1.9

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11101 რუსეთი-ლატვია	1.7	12.0	25.0	3.5	5.0	10.0	20.0	10.0	10.0
11102 შოტლანდია-მოლდოვა	1.9	12.0	25.0	3.6	4.2	9.0	20.0	9.0	9.0
11107 ბულგარეთი-ხორვატია	3.5	10.0	20.0	4.4	4.4	5.3	20.0	10.0	4.4
11111 ბელარუსი-სლოვენია	3.2	10.0	20.0	4.2	4.4	5.6	20.0	10.0	5.0
11112 თურქეთი-საბერძნეთი	2.9	10.0	20.0	3.8	4.4	6.5	20.0	10.0	5.6
11113 ისლანდია-უნგრეთი	3.8	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.7
11114 სერბია-ბელგია	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11115 ნორვეგია-იტალია	5.3	10.0	20.0	6.0	4.4	4.0	20.0	10.0	2.9
11117 ირლანდია-ისრაელი	2.1	10.0	20.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0
11118 ჰოლანდია-რუმინეთი	1.8	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0
11120 პორტუგალია-სლოვაკეთი	1.7	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0
11188 ტრინიდადი-პანამა	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11189 გვატემალა-მექსიკა	7.5	10.0	20.0	8.5	4.4	3.5	20.0	10.0	2.3
11190 აშშ-კოსტა რიკა	1.9	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11191 ვენესუელა-ურუგვაი	3.8	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.7
11192 ჩილე-ბოლივია	2.0	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11193 ეკვადორი-არგენტინა	6.0	10.0	20.0	7.5	4.3	3.5	20.0	10.0	2.3
11194 კოლუმბია-პერუ	2.3	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11195 ბრაზილია-პარაგვაი	1.6	15.0	30.0	3.5	5.0	11.0	20.0	11.0	11.0

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10101	რუსეთი-ლატვია	1.6	2.4	6.0	1.0	1.26	1.71
10102	შოტლანდია-მოლდოვა	1.8	2.3	5.6	1.0	1.36	1.63
10107	ბულგარეთი-ხორვატია	2.8	2.0	3.4	1.16	1.53	1.25
10111	ბელარუსი-სლოვენია	2.5	2.1	3.5	1.14	1.45	1.31
10112	თურქეთი-საბერძნეთი	2.5	2.0	4.0	1.11	1.53	1.33
10113	ისლანდია-უნგრეთი	3.1	2.0	2.95	1.21	1.51	1.19
10114	სერბია-ბელგია	2.05	2.1	5.1	1.03	1.46	1.48
10115	ნორვეგია-იტალია	4.0	2.0	2.5	1.33	1.53	1.11
10117	ირლანდია-ისრაელი	1.8	2.2	5.8	1.0	1.37	1.59
10118	ჰოლანდია-რუმინეთი	1.7	2.4	6.5	1.0	1.34	1.75
10120	პორტუგალია-სლოვაკეთი	1.65	2.5	6.0	1.0	1.29	1.76
10188	ტრინიდადი-პანამა	2.2	2.0	4.4	1.04	1.46	1.37
10189	გვატემალა-მექსიკა	4.8	2.1	2.0	1.46	1.41	1.02
10190	აშშ-კოსტა რიკა	1.7	2.3	5.8	1.0	1.31	1.64
10191	ვენესუელა-ურუგვაი	3.1	2.0	2.8	1.21	1.47	1.16
10192	ჩილე-ბოლივია	1.8	2.2	5.3	1.0	1.34	1.55
10193	ეკვადორი-არგენტინა	4.1	2.0	2.4	1.34	1.51	1.09
10194	კოლუმბია-პერუ	2.05	2.1	4.8	1.03	1.43	1.46
10195	ბრაზილია-პარაგვაი	1.5	2.6	7.0	1.0	1.23	1.89

ივარჯიშეთ, ავტოგაზი კისრულობს...

ნაკრებს სპონსორ-საწვავი შეემატა

კომპანია „ავტოგაზის“ ფირნიში ვერის ბაღში ტაბლოზე აქამდეც ეკიდა

ᲐᲘ, მუშაობაც ასეთი უნდა — კალათბურთის ფედერაციამ ეროვნულ ნაკრებს ახლახან სანიმუშო მწვრთნელი, გორდონ ჰერბერტი ხომ უშოვა, გუშინ კი ოფიციალური სპონსორიც გამოუძებნა. სააქციო საზოგადოება „ავტოგაზი“ ავტომობილების ბუნებრივი აირით გასამართ სადგურებს ფლობს და ამ სარფიანი ბიზნესიდან შემოსული მოგების ნაწილს საქართველოს ნაკრებს მოახმარს. გუშინ ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჟურნალისტები კაფე „მსოფლიო სპორტში“ შეკრიბა და „ავტოგაზის“ ხელმძღვანელობას საზეიმო ვითარებაში გაუფორმა კონტრაქტი.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ თავდაპირველად „ავტოგაზის“ ხელმძღვანელები — კომერციული დირექტორი გიორგი ლოლობერიძე და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი გერსამია წარმოგვიდგინა შემდეგ კი თანამშრომლობის ნიუანსებზე შეუდგა ლაპარაკს:

„სააქციო საზოგადოება „ავტოგაზი“ ამ ციკლში საქართველოს ნაკრების ოფიციალური სპონსორი იქნება. ეს კომპანია გასული ჩემპიონატის სპონსორიც გახლდათ, თუმც ახლა ის უფრო აქტიურად დაგვეხმარება. „ავტოგაზი“ დააფინანსებს ჩვენი ეროვნული გუნდის ყველა საამეტაპო შეკრებას. კერძოდ, ეს კომპანია კისრულობს იმ სახსრების გაღებას, რომელიც ნაკრებს იტალიის ქალაქ ბორმიოსა და გერმანულ ბრაუნშვაიგის საერთაშორისო ტურნირებზე გასამგზავრებლად დასჭირდება. ასევე დააფინანსებს ფინეთში, საკვალიფიკაციო მატჩზე გამგზავრებას...

მოგეხსენებათ, ჩვენი თანამშრომლობა საქმიანია და „ავტოგაზს“ თავისი ინტერესები გააჩნია. თუმც მინდა, ალვნიშნო, რომ ის უფრო მეცენატობას ჰგავს. არ ვიცით, ამ ფულის გაღება რა მოგებას მოუტანს კომპანია „ავტოგაზს“, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ამ ციკლში ის ჩვენი სპონსორი იქნება.

სანაცვლოდ ჩვენ კომპანია „ავტოგაზს“ სარეკლამო სივრცეებს გამოვუყოფთ სპორტის სასახლეში, როცა მაკედონიისა და ლუქსემბურგის ეროვნული გუნდებს ვუმასპინძლებთ. ასევე ნაკრების მაისურებს მკერდზე ამ კომპანიის სახელი ეწერება, როგორც ოფიციალური მატჩებზე, ასევე ამხანაგურ, სპარინგ-თამაშებზე...

კომპანია „ავტოგაზი“ იქნება ასევე ზაზა ფაჩულიას კემპს სპონსორი, რომელიც თბილისში 13-დან 16 ივლისამდე გაიმართება“.

ამის შემდეგ თავად სპონსორ-მეცენატებმა ილაპარაკეს თავიანთი გეგმების შესახებ...

გიორგი გერსამია: „ჩვენი მიზანი არაა ამ საქმიდან რამე მოგების ნახვა. პირველ რიგში იმით ვხელმძღვანელობთ, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს ჯანსაღი, სპორტული ახალგაზრდობა და თუ კალათბურთს გაეწევა პოპულარიზაცია, ვფიქრობ, ამ მხრივ საერთო მდგომარეობა გამოსწორდება. რატომ არ შეიძლება, ისეთივე წარმატებებს მივაღწიოთ კალათბურთში, როგორც რაგბიში? საამისოდ პოტენციალი ნამდვილად გვაქვს და თუ ერთად დავდგებით, საწადელსაც მივაღწევთ“.

გიორგი ლოლობერიძე: „ჩვენი სურვილია და არა მოთხოვნა, რომ საქართველოს ნაკრებმა ყველა ბარიერი გადალახოს და ოლიმპიადაზე გავიდეს. ვიცით, რომ ასე უცებ დიდი გამარჯვებების მოპოვება ძნელია, მაგრამ თუ აქედანვე არ შევხედეთ საქმეს, მერე და მერე უფრო გაგვირთულდება. [illegible] საქართველოს ნაკრებმა წარმატებებს ვერ მიაღწიოს ამ ეტაპზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი დახმარება მაინც არ ჩაივლის უკვალოდ და შედეგს სამომავლოდ გამოიღებს“.

ფედერაციას მხოლოდ „ავტოგაზი“ არ დააფინანსებს. უკვე მიღწეულია შეთანხმება მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომთან“, რომლის ხელმძღვანელებსაც ნაკრების მესვეურები უახლოეს მომავალში შეხვდებიან და განსაზღვრავენ, თუ რა სახით ამოუდგებიან მხარში ნაკრებს.

არიან ტექნიკური სპონსორებიც. სასტუმრო „ვარაზი“ ჩვენი ნაკრების მეტოქეებს უმასპინძლებს, ხოლო კომპანია „სარო“ ეკიპირების გარანტია.

„ავტოგაზის“ პრეზენტაცია რომ დასრულდა, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ორი ახალშობილი ტურნირის შესახებაც გვამცნო: „ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, მომავალი სეზონიდან საქართველოში დამატებით ორი ტურნირიც გაიმართება. ეროვნული ჩემპიონატის, თასის გათამაშებისა და დუდუ დადიანის მემორიალთან ერთად ზურაბ საკანდელიძე-მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალი და საქართველოს სუპერთასიც გაიმართება. ოლიმპიურ ჩემპიონების მემორიალი იანვარში მოეწყობა და მასში წამყვანი ქართული და უცხოური კლუბები მიიღებენ მონაწილეობას, სუპერთასს კი სეზონის ბოლოს თასის მფლობელი და ჩემპიონი გაითამაშებს“.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

NBA PLAY OFF 2005 კონფერენციის ფინალი

— 1 ივნისი —

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 1:4 ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 95:101 ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ: ნეში (21 ქულა, 10 პასი), ჯონსონი (14), რიჩარდსონი, მარიონი (8 ქულა, 10 მოხსნა), სტუდემაიერი (42 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება); ჯექსონი (9), ჰანტერი (1)

ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ: პარკერი (18), ჯინობილი (19), ბოუენი (9), დანკანი (31 ქულა, 15 მოხსნა), მუჰამედი (4); ჰორი (7 ქულა, 11 მოხსნა), უდრიჰი (8), ბერი (3), მასენბურგი (2)

დღეს ბატონი შენა ხარ

ფინიქსმა სან ანტონიოს კბილები დაამტვრია



ᲐᲛ სერიის თამაშები ნანახი რომ არ გქონდეთ, იფიქრებდით, „სან ანტონიოს“ ბლღვნად ეყო ეგ თქვენი ქებული და მოწონებული „ფინიქს სანზიო“. სერიის საბოლოო ანგარიშიც ამაზე მიუთითებს, მაგრამ სანამ განავითარებთ ამ აზრს, „სფურზის“ თავკაც გრეგ პოპოვიჩის სიტყვებსაც გაეცანით:

„ვერ გადმოგცემთ, როგორი მოხარული ვარ, რომ ამ გუნდს გაისამდე აღარ შევხვდებით.“ რომელ გუნდზე ლაპარაკობს გრეგ პოპი, ვგონებთ, ახსნა არ სჭირდება.

ტიმ დანკანი, „სან ანტონიოს“ ლიდერი:

„ბედნიერი ვარ, ამ სერიიდან რომ გავაღწიეთ და ეს ამარესაც ვუთხარი. ისიც დავამატე, კიდევ ბევრჯერ შევხვდებით და იქ ვის გაუმართლებს, არავინ იცის-მეთქი.“

კი, ბატონო, „სან ანტონიომ“ მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო და ოთხი მოიგო, აქედან სამი „ფინიქსის“ მოედანზე, მაგრამ ტეხასელებს ერთ თამაშშიც არ გაუსეირნიათ და მაქსიმუმ 10 ქულით გაუტეხიათ მეტოქე.

ასე იყო ამ ბოლო მატჩშიც, რომელშიც „ფინიქსმა“ სტივ ნეშის თამაშის რიტმიდან ამოვარდნის და შონ მარიონის საერთოდ აბდაუბდა ბურთაობის მიუხედავად, მომავალ ფინალისტს ბოლომდე ამტვრია კბილები და საბოლოო გამარჯვება ძვირად დაუსვა.

მაგრამ „ფინიქსის“ ასე საპატიოდ გაცილების მიუხედავად „სან ანტონიო“ მაინც ოდნავ უკეთესი გუნდია და დამსახურებულადაც მოხვდა იქ, სადაც მოხვდა. სხვათა შორის, პოპოვიჩი, დანკანი და სხვები პირველ რაუნდში „დენვერთან“ სერიის მოგების შემდეგაც ზუსტად იდენტური ფრაზებით გამოხატავდნენ შთაბეჭდილებებს — ეს ვის ვეთამაშეთ, ბედნიერები ვართ, რომ ყველაფერი დამთავრდა, შეიძლებოდა, პირიქითაც ყოფილიყო. თუმც თავის ამგვარი დაფასების მიუხედავად, „სფურზმა“ დასავლეთში, ჰა, „დალასს“ თუ არ ჩავთვლით, ყველა ძლიერს აჯობა და ალალ ბრძოლაში დაამტკიცა საკუთარი უპირატესობა. „სფურზი“ თავის ისტორიაში მესამედ გავიდა დიდ ფინალში და ეს კვლავ და კვლავ ტიმ დანკანის წინამძღოლობით მოახერხა. 1999 და 2003 წლების ჩემპიონები, რაღა თქმა უნდა, ახლაც მხოლოდ ოქროსთვის შეებმებიან „დეტროიტსა“ და „მაიამის“ შორის უკეთესს.

ტიმ დანკანი ამ ბოლო მატჩში შეუდარებელი იყო. ეტყობა, მან წინა შეხვედრის წაგება საკუთარ თავს დააბრალა — მხოლოდ 15 ქულას რომ დასჯერდება გუნდის ლიდერი, აბა, სხვა რა უნდა იფიქრო — ჰოდა, ახლა სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და ეს მონაგარი გააორმაგა. მართალია, მისმა ოპონენტმა ამარე სტუდემაიერმა ერთბაშად 42 ქულა მოიხვეჭა, თუმც ამარეს კარგი თამაში წარსულის ამბავია, დღეს კი გამარჯვებას სხვები ზეიმობენ.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ

როლან გაროსი 2005



AFP პარი ზიდან

მარი პირსი

გაააჩერეს!

პარიზულ ფინალში ფრანგულად ილაპარაკებენ

ქალები

ნახევარფინალი

ჟუსტინ ენენ-არდენი (10, ბელგია) — ნადია პეტროვა (7, რუსეთი) 6:2 6:3; მარი პირსი (21, საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (16, რუსეთი) 6:1 6:1

ალბათ გახსოვთ, როცა ანასტასია მისკინამ შარშანდელი როლანგაროსობაზე იმარჯვა და ამით დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირზე ნატიტულარი პირველი რუსქალი შეიქნა, მათი ჩოგბურთის მახვშმა შამილ ტარპიშჩევმა დაიქადნა — აწი ვეღარ გაგვაჩერებთო! როცა მოგვიანებით მარია შარაპოვამ უიმბლდონობაზე იხეირა, სვეტლანა კუზნეცოვამ აშშ-ის ღია პირველობაზე, ხოლო სეზონის დამლევს იმავ მისკინას ყოჩობით რუსქალებმა პირველად მოიგეს ფედერაციის თასზეც, ყველამ ის იფიქრა, რომ ამათ აწი მართლაც ვერავინ გააჩერებდა.

მაგრამ — აპრუწუწუნ, ვერ მიერთვათ! როცა წლეულს კორტს ერთი-მეორის მიდევნებით დაუბრუნდნენ ნატრავმალ-ნავირუსალი ბელგიელი გოგონები, კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენ-არდენი და რუსებს მიჯრით დაუწყეს რბევა, აშკარა შეიქნა, რომ ტარპიშჩევის დანაქადებს სერიოზული გამოცდა ელოდა. თუმცა ბელგოგოებამდე თავისი სიტყვა თქვა სეზონის დასწყისში მყისიერად აღბორგებულმა და მერე ისევ ჩანავლებულმა სერენა უილიამსმა, ვინაც შარაპოვასა და კომპანიას ავსტრალიის ღია პირველობის მოგება არ დაანება. მერე კი — როგორც მოგახსენეთ — კიმისა და ჟუსტინის ჟამიც დადგა. ჯერ ერთმა იჯლიგინა და გამარჯვებით გადააბა მაიამობა და ინდიანუელსობა, ჩარლსტონობიდან კი საქმეში მეორეც ჩაერია და ტიტულიანი სვლა რომ ევროთიხნარობაზე დაიწყო, ვგონებ, აღარც ხვალის ჩათვლით გაჩერდეს, როცა რომ ფენიქსისებრ ამკერდებულ მარი პირსს შეერკინება.

უფრო დალაგებით კი ჭინკა ბელგოგო ამ ოთხშაბათს 23 წლისა გახდა და იმავე დღეს გაიმდენივე-წლისებულ ნადია პეტროვას გუშინ რომ აჯობა, ეს მისი ზედიზედ 23-ე მოგება გახლდათ. 2003 წლის როლანგაროსობის ჩემპიონი უჩინებულეს ფორმაშია და ზორბა ნადიამ ვერაფერი გააწყო მისი ბასრი, ზუსტად კორტის ხაზამდე მიწევნილი დარტყმების წინააღმდეგ, მით უფრო, რომ ჟუსტინმა დაცვაშიც უბადლოდ ითამაშა და კიდით კიდემდე ჯარასავით მობზრიალე მეტოქის უმძლავრეს გლაჯუნს მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელად თუ გაერღვევინა. შედეგად — უპირობო, გაუსაჩივრებელი და (ერთი მარცხის წილ) კარიერის მეექვსე გამარჯვება პეტროვაზე, ვისაც საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალში 2003 წელსაც უპაექრია და იქაც ბელგიელისგან, ოლონდ კიმ კლაისტერსის ძლეულა.

აქვე იმასაც შეგახსენებთ — საუბარი სწორედ ამით დაგვეწყო — რომ პეტროვამდე ჟუსტინმა პარიზში ჯერ მეოთხე წრეში სვეტლანა კუზნეცოვას აჯობა, მეოთხედფინალში კი მაშა შარაპოვას გაუსწორდა.

ენენ-არდენ-პეტროვაზე უფრო ცალკორტა გამოდგა მეორე ნახევარფინალური შეხლა, რომელიც 1994 წლის ნახევარფინალში რომ ერთმანეთს მარტინა ნავრატილოვა და ჯიჯი ფერნანდესი შეხვდნენ, იმის მერე უხნესი სადიდსლემო ნახევარფინალი იყო. უხნესთა ბურთაობაში შეუდარებლად უფრო თავდაჯერებული და გამარჯვებისთვის მომართული გამოდგა ტურნირის 2000 წლის ჩემპიონი. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კორტზე ასე მსუბუქად ლამის პირველგზის აგოგმანებულმა 30 წლის პირსმა წლით უცროსი მეტოქე უჩვეულოდ იოლად დაიმორჩილა და საქმე საათზე მეტხანს არ გაუჯანჯლებია.

საწყენი ის არის, რომ ამ მატჩის მიხედვით პირსის რეალურ შესაძლებლობებზე წარმოდგენას ვერ შეიქმნიდით, რაკიღა მისმა მეტოქემ უკიდურესად სუსტად ითამაშა. თუმცა, იმედია, რომ პირსი ფინალშიც შეძლებს ცბიერი და ბასრი ბელგიელი მეტოქის წინააღმდეგ ღირსეულად გარჯას. ისე კი, პარიზელთა უკვე იმითაც შეუძლიათ გაიხარონ, რომ მშობლიური სლემფინალი თავისენოვანი გამოუდგებათ — ენენ-არდენი ხომ ბელგიის იმ პროვინციიდან ანუ ვალონიიდან გახლავთ, სადაც მილეთი სწორედ ფრანცეულად მასლაათობს.



AFP პარი ზიდან

ჟუსტინ ენენ-არდენი

მარიანოს საქმე გაუგრძელდა

AFP პარი ზიდან

სიყრმის მეგობრები გილერმო კანიასი და მარიანო პუერტა

მარიანო პუერტას სახელ-გვარი ადრე ეგებ მხოლოდ იმის გამო გაგეგოთ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ დოპინგკონტროლზე ჩავარდა და ჩაუქი ბურთაობის ნაცვლად სწორედ ასე უნია მანამდე მიუღწეველ ჰედლაინებს. ახლა კი ეს ჯიშად მეთიხნარე ჯეელი როლანგაროსობის ნახევარფინალშია და ამქარშიც უწინარესად მისი ავან-ჩავანი აინტერესებთ.

— როგორი გრძნობა დაგეუფლათ ნახევარფინალში გაღწევისას, მით უფრო იმ ყველაფრის მერე (დოპინგ სკანდალს ვგულისხმობთ), რაც შარშან შეგემთხვათ?

— ორი კვირის წინ, პარიზში რომ ჩამოვდიოდი, იმედი მქონდა, რომ მეორე კვირას მოვაწევდი, მაგრამ თუკი საქმე ნახევარფინალამდეც „გამიგრძელდებოდა“, ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი.

— რას ნიშნავს, ამდენი ხნის განმავლობაში ვერ თამაშობდე და როგორ შეძელით, უქმობის მიუხედავად კონცენტრაცია არ დაგეკარგათ და კორტს კვლავ შემართული დაბრუნებოდით?

— იძულებითი უქმობის პერიოდი მართლაც ძნელი გადასატანი იყო. ძალიან უცნაურ რამეს განიცდი, როცა იძულებული ხარ, ტურნირებზე არ გამოხვიდე. საიმისოდ, რათა კორტზე რიგიან ფორმაში მოვბრუნებულიყავი, ძალიან მაგრად მომიხდა შრომა, მით უფრო, რომ ჩემი სტილი ძალუმი ენერგიის ხარჯვას მოითხოვს. ისე კი, რთული პერიოდის გადალახვა განვითარებს და უფრო ძლიერს გხდის. ასე რომ, დღეს შემიძლია გითხრათ — თავს ძალიან ძლიერად ვგრძნობ, საკმარისად ძლიერად საიმისოდ, რათა ნებისმიერი ყალიბის მეტოქეს თანაბრად ვერკინო.

— მეოთხედფინალში თქვენ თვისტომ გილერმო კანიასს აჯობეთ. მართალია, თქვენ ერთმანეთს ისე ხშირად არ ხვდებით ხოლმე, მაგრამ ეს მატჩი უფრო რაღაც სადეკისთასო მზადებასავით ხომ არ იყო?

— ჩვენ სიყრმის მეგობრები ვართ — კორტზეც თითქმის ერთსა და იმავე დროს აღმოვჩნდით. ასე რომ, ეს ძალიან მეგობრული შეხვედრა იყო. მატჩის მსვლელობისას თამაშზეც ვსაუბრობდით და ერთ მომენტში ისიც კი გადავწყვიტეთ, რომ ერთმანეთი ძალიანაც არ გვერბენინებინა. თუმცა, ვფიქრობ, თამაში მაინც რიგიანი გამოვიდა... ამ ჯერზე მე გამიმართლა, სხვა დროს კი ნახევარფინალში ის მოხვდება. ის ამქარში ერთი ყველაზე საუკეთესო დამცველთაგანია — ბურთს მისებრ მხოლოდ ერთეულნი თუ აბრუნებენ. მან დღესაც მშვენივრად ითამაშა, თუმც ყველაფერი მაინც მეხუთე სეტის გადამწყვეტ ქულებზე გაირკვა.

— რას ნიშნავს, აქ გამარჯვებულის რანგში ჯდომა? თითქოს მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ უნდა ჩანდეთ?

— მე არასოდეს მიმიღწევია დიდი სლემის ნახევარფინალისთვის. ასე რომ, ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. იმედი მაქვს, პარასკევსაც ყველაფერი ასე იქნება.

— თუ არ მეშლება, თქვენ ერთხელ რაღაც შეგემთხვათ ლიფტში. შეგიძლიათ, შეგვახსენოთ, რა და როგორ მოხდა?

— საოცარია, ეს ამბავი თქვენც რომ გახსოვთ... ახლა დეტალების ზუსტად გახსენება არ მინდა, რადგანაც მაშინ კინაღამ მართლაც მაგრად დამერხა, მაგრამ ის კი შემიძლია გითხრათ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ლიფტში შესვლა აღარ შემეძლო.

— როდესაც შარშანდელი უქმობის შემდეგ კორტზე მობრუნდით, კოლეგებთან ურთიერთობა ხომ არ გაგიჭირდათ? თუ მყისვე იგრძენით მათი მხარდაჭერა?

— მე ვიცოდი, რომ ამქარში დაბრუნება იოლი არ იქნებოდა და ამისთვის ვემზადებოდი კიდეც. მაგრამ ბიჭებმა მაგრად დამიჭირეს მხარი და ამან ხელახალი აღაპტაცია შეუდარებლად გამიადვილა. ჩოგბურთში დიდი ფული ტრიალებს და იმის მიუხედავად, რომ ადამიანებთან თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს, არ იცი, შენი სკანდალური ამბის მერე როგორ მოგეპყრობიან. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა ყველასგან ერთსულოვანი მხარდაჭერა ვიგრძენი...

— ათი დღის წინ თქვენ თქვით, რომ, თუკი ივან ლიუბიჩიჩს მოუგებდით, შორს წახვიდოდით?

— ჰო, მე მართლაც ვთქვი ეს, როცა წილისყრის ბადე გამოქვეყნდა. მაშინ მე მკითხეს, ვის ხვდებიო. მე ვუთხარი, ლიუბიჩიჩს-მეთქი. ჟურნალისტმა ისევ მკითხა, ალბათ ძალიან გაგიჭირდებაო. მე ვუპასუხე, ჰო, მაგრამ, თუ მოვუგე, ნახევარფინალამდე მივალ-მეთქი. ავერ თქვენ და აგერ მე.

— თქვენ მორწმუნე ხართ? თამაშამდე თუ ლოცულობთ ხოლმე?

— დიახ, მორწმუნე ვარ. თუმც ვინმეს ერთი წლის წინ რომ ეთქვა, როლანგაროსობაზე ნახევარფინალს მიაღწევო, ვერ ვირწმუნებდი.

ამას ამერიკა არავის აპატიებს

ლოკაუტი გრძელდება, კომპრომისი კი არ ჩანს

ნჰლ-ს არსებობას წყალი შეუდგა

რუსმა ცენტრფორვარდმა პაველ დაციუკმა, რომელმაც ბრწყინვალედ იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა მოსკოვის „დინამოსთან". საქმეში ჩაუხედავი კაცი ალბათ იტყვის, რა შუაშია „დინამო", როცა საუბარი ნჰლ-ზე გვაქვსო, თურმე, ძალიანაც შუაშია, ვინაიდან დაციუკი ნაციონალურ ეროვნულ ლიგაში საკმაოდ ცნობილია და ლოკაუტამდე „დეტროიტის" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

ჰო და, ასეთმა კაცმა მოსკოველებთან ისეთი კონტრაქტი გააფორმა, რომ მიუხედავად იმისა, დასრულდება ლოკაუტი ლიგაში თუ არა, ის მაინც რუსეთში დარჩება. თავისთავად ეს ნჰლ-ისა და „დეტროიტისთვის" არცთუ ისეთი სასიამოვნო ამბავია. დაციუკს ნაკლებად სჯერა, რომ წლეულს ნჰლ-ის ჩემპიონატი ჩატარდება, ამიტომაც უკვე გადაწყვიტა მომავალი ახლავე გაერკვია.

და უნდა ითქვას, რომ დაციუკი ერთადერთი როდია, ვინც პესიმისტურად უყურებს ჩრდილოამერიკული ლიგის საამსეზონო პერსპექტივებს. საქმე ისაა, რომ თავად ლიგიდან საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი და მეტწილად არასანუგეშო ამბები მოდის. ხუმრობაა, მაისი მთავრდება, მაგრამ დღემდე ლიგის და პროფკავშირის ლიდერებს შორის მომავალ მოლაპარაკებებზე პრაქტიკულად არანაირი პროგრესი არ შეინიშნება. არადა, ტელევიზია უკვე ივნისში მოითხოვს ნჰლ-სთან კონტრაქტის ხელმოწერას, არც ჰოკეისტებთან ფორმდება ხელშეკრულებები, ხოლო ტრადიციული დრაფტი უკვე პრაქტიკულად ჩაიშალა. თანაც თვით ნჰლ-ის კომისიონერმა გერი ბეტმენმა კვლავ ულტიმატუმი წაუყენა ოპონენტებს, რომ თუ 15 ივნისამდე გარიგება არ შედგება, ის 2005-06 წლების სეზონსაც გააუქმებს. რა შედეგი მოჰყვა ბეტმენის ამნაირ ქმედებას თებერვალში, ყველას კარგად ახსოვს. მაშინ ამას წინა სეზონი შეეწირა.

არადა, აპრილში თითქოს პოზიტიური ძვრები შეინიშნებოდა. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი შეხვედრის დროს გენიალური იდეა გამოითქვა — მოდით, მომდევნო სეზონში შემოვიღოთ ხელფასების ჭერი, ვნახოთ, რა გამოვა და მერე მომავალზე ვიფიქროთ — მხარეებმა ინტენსიურ კონსულტაციებს მიმართეს. როგორც კულისებში ამბობდნენ, სახელფასო ზღვარის კონკრეტულ ციფრშიც მხარეები უკვე უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ბეტმენი და გუდენაუ მოლაპარაკებების გამო ავსტრიაშიც კი არ გაემგზავრნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე და ბევრს ეს კარგად ენიშნა.

კულმინაციას მოვლენებმა ორი კვირის წინ მიაღწია, როდესაც ნიუ იორკში ორი დღის განმავლობაში აქამდე არნახული ინტენსივობით მიმდინარეობდა მოლაპარაკება. ხუთშაბათსა და პარასკევს მხარეებმა საერთო ჯამში 22 საათი გაატარეს „მრგვალ მაგიდასთან" და თანაც დელეგაციები ძალიან წარმომადგენლობითი იყო. ლიგის მხრიდან ბეტმენის და მისი მარჯვენა ხელის ბილ დეილის გარდა კიდევ 6 მოხელე ესწრებოდა, ხოლო ასოციაცია გუდენაუს გარდა ერთბაშად 11 კაცით იყო წარდგენილი.

ყოველივე ამის შედეგი დეილის უკანასკნელი განცხადება გახლდათ. ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ხმამაღლა განაცხადა, რომ შესაძლოა, ლოკაუტი უკვე ივნისის პირველ რიცხვებში დასრულდეს. ერთი სიტყვით, წინა კვირას დაგეგმილი მორიგი რაუნდისგან უკვე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ელოდნენ. მით უფრო დიდი იყო გაწბილება, როცა პარასკევს საზოგადოებამ მორიგი არაფრისმთქმელი კომენტარი მოისმინა — მოლაპარაკება მიდის, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე ღირსშესანიშნავი შედეგი არ არის, სამაგიეროდ, კონსულტაციები მომდევნო კვირას გაგრძელდება. ცხადია, ასეთი კომენტარების შემდეგ ძნელია, დაიჯერო, რომ მხარეები კომპრომისს მიაღწევენ.

სპეციალისტთა უმეტესობის ვარაუდით, სეზონი ოქტომბერში ალბათ არ დაიწყება, მაგრამ არც გაუქმდება, წინამორბედის მსგავსად. უფრო შესაძლებელია უქმობა დეკემბერ-იანვარში გაგრძელდეს. შემდეგ მხარეები მიხვდებიან, რომ მეტი გაჭიანურება აღარ შეიძლება და მოილაპარაკებენ. ბოლოს და ბოლოს, ყველას ხომ უნდა ესმოდეს, რომ კიდევ ერთი დაკარგული სეზონი ნამდვილი კატასტროფა იქნება. ამას ამერიკა არავის აპატიებს.

ამასობაში მოვლენები ისე ვითარდება, რომ შესაძლოა ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ არსებობა საერთოდ შეწყვიტოს. მის ნაცვლად ფიქრობენ ახალი ორგანიზაციის შექმნას, რადგან ამჟამინდელ ხელმძღვანელობას არ სურს თუ არ ძალუძს მოთამაშეთა პროფკავშირებთან მოლაპარაკება. ამ საქმისთვის პროექტის ინვესტორებიც კი გამოჩნდნენ.

პროფკავშირების წარმომადგენლები განიხილავენ ნიუ იორკის ყოფილ მერთან რუდოლფ ჯულიანთან და კანადის დიპლომატ მორის სტრონგენთან გაერთიანებული ძალისხმევის შესაძლებლობას, რათა შეიქმნას ჰოკეის ინტერნაციონალური ასოციაცია.

რა და როგორ იქნება, ეს ალბათ უახლოეს დღეებში გადაწყდება.

სამველ ლარიბიანი

მაკროპულოსმა მოჭადრაკეებს ბოლო შანსი დაუტოვა

მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე რვა დიდოსტატიდან ოთხს — ინდოელ ვიშვანათან ანანდს, ინგლისელ მაიკლ ადამსს, ბულგარელ ვესელინ ტოპალოვსა და უნგრელ იუდიტ პოლგარს ფიდეს პირველი ვიცე-პრეზიდენტი გეორგეოს მაკროპულოსი გაესაუბრა. მთავარი თემა სექტემბერში გასამართი ჩემპიონატი იყო. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ჩატარდა და ამბის გასაგებად მაკროპულოსს „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტი დაუკავშირდა. მათ ინტერვიუ გარი კასპაროვზე საუბრით დაიწყეს



გარი კასპაროვი



გეორგეოს მაკროპულოსი



ვლადიმირ კრამნიკი

— როგორ ფიქრობთ, გარი კასპაროვის დიდი ჭადრაკიდან წასვლა ამ სპორტს პოპულარობას დაუკარგავს?

— როცა ასეთი დიდოსტატი მოულოდნელად მიდის, რა თქმა უნდა, ცოტა ვიბნევით. გეთანხმებით, რომ ჭადრაკმა დიდი გმირი დაკარგა, თუმც ამის გამო კასპაროვს ვერ გავამტყუნებთ. მან ბევრი რამ გააკეთა ჭადრაკისთვის და თუ ახლა პროფესიის შეცვლა სურს, ეს მისი ნებაა და ჩვენც წარმატებას ვუსურვებთ.

— გსურთ, რომ კასპაროვი დაბრუნდეს?

— თუ დიდოსტატი ამას გადაწყვეტს, რა თქმა უნდა, მივესალმებით.

— მსოფლიოს ჩემპიონატი არგენტინაში, სან-ლუისში გაიმართება და გამარჯვებულს რა ტიტული ექნება?

— მსოფლიოს ჩემპიონის და ამაზე პრეტენზიას ვერავინ განაცხადებს. ჩვენ საუკეთესო დიდოსტატებს მოვუყარეთ თავი.

შარშან ტრიპოლში ფიდეს ეგიდით მსოფლიოს ჩემპიონატიც მოვაწყეთ, თუმც იქ ყველა ძლიერი მოჭადრაკე არ ჩამოსულა. ეს რვაკაციანი ტურნირი ამიტომაც მოვიფიქრეთ.

— თბილისში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე გადაწყვიტეთ, რომ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად მოგეწყოთ ტურნირი და იქ რვა უძლიერეს დიდოსტატს ეთამაშა. მაშინ რატომ ვერ მიხვდით, რომ გარი გასპაროვი და ვლადიმერ კრამნიკი უარს იტყოდნენ ამ შემოთავაზებაზე?

— კასპაროვმა გვიან განაცხადა პროფესიის შეცვლის შესახებ, კრამნიკს კი რამდენჯერმე შევეხმიანეთ და ახლა რომ აცხადებს, არავინ დამკავშირებიაო, ტყუილია. 24 მარტს კრამნიკის მენეჯერმა დაადასტურა, რომ მან ჩვენი შეტყობინება მიიღო. ესე იგი ინფორმირებული ყოფილა. სამწუხაროდ, არის ხალხი, რომელთაც სურთ, ფიდესა და კრამნიკს შორის უთანხმოება იყოს.

— კრამნიკი აცხადებს, მხოლოდ სან-ლუისის ტურნირში გამარჯვებულს შევხვდებიო.

— არგენტინული ტურნირი საკვალიფიკაციო შეჯიბრი არ არის, ეს მსოფლიოს ჩემპიონატია. კრამნიკმა უარი თქვა გამოსვლაზე და ახალ ჩემპიონს ჩვენც ვერ დავაძალებთ, მას ეთამაშოს.

— თუ სან-ლუისის გამარჯვებულმა გამოთქვა სურვილი?..

— ეს შეუძლებელია. რვავე მონაწილემ ხელი მოაწერა იურიდიულ დოკუმენტს, სადაც წერია, რომ ორი წლის განმავლობაში მათ ასეთ ტურნირებში ეკრძალებათ ასპარეზობა. მით უმეტეს, თუ ფიდეს ეგიდით არ არის გამართული.

— ახალ ჩემპიონს ფიდეს მომავალ ჩემპიონატზე რამე პრივილეგია თუ ექნება?

— კონტინენტური ჩემპიონატების შემდეგ, დეკემბერში, მსოფლიოს თასის ტურნირს დავნიშნავთ, რომელშიც 128 მოჭადრაკე გამოვა და ნოკაუტ-სისტემით ჩატარდება. საუკეთესო ხუთეული მომდევნო საპრეტენდენტო მატჩებში ითამაშებს.

მსოფლიოს თასის შემდეგ 10-კაციან სუპერტურნირს დავნიშნავთ, რომელსაც „ბოლო შანსის ტურნირი" ერქმევა და სამი გამარჯვებული იმ ხუთეულს შეუერთდება. აი, უკვე რვა კაცი გვყავს და მათ არგენტინულ ტურნირში მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული დიდოსტატები დაემატებათ. ეს ათი მოჭადრაკე ხუთ მატჩს გაითამაშებს და ხუთი მოგებულიც გამოვლინდება. მათ უკვე არგენტინის ტურნირის მეორეადგილოსანი შეუერთდებათ და მეოთხედფინალს გაითამაშებენ. ნახევარფინალიდან ჩემპიონი ჩაერთვება.

— ამან ერთი ძველი ამბავი გამახსენა. მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა ტიტულის დაცვა ნახევარფინალიდან დაიწყო, ფინალში კი გატა კამსკს შეხვდა და ჩემპიონობა შეინარჩუნა. გამოდის, რომ ფიდე იმას დაუბრუნდა, რასაც ათი წლის წინ გაექცა.

— ჩვენ გვსურს, რომ მოთამაშეებთან კომპრომისს მივაღწიოთ. მათ ჩვენეულ სისტემას ვთავაზობთ და, მგონი, მოსწონთ.

— თამაშებისას დროის რომელ კონტროლს აირჩევს ფიდე?

— მსოფლიოს თასის ნოკაუტმატჩებში 90 წუთიან კონტროლს, ხოლო სუპერტურნირებში და ნახევარფინალებში 7 საათიანს.

— საპრიზო ფონდი რამდენი იქნება?

— მომავალ ორ წელიწადში სპონსორები სავარაუდოდ ხუთ მილიონ დოლარს გამოგვიყოფენ.

— როგორ ფიქრობთ, მომავალ წელს ფიდეს კონგრესზე ახალი პრეზიდენტი გეყოლებათ?

— მგონია, რომ კირსან ილუმჟინოვს ვერავინ შეცვლის. მას საკმაოდ უყვარს ჭადრაკი და გვარიანი ფულიც დახარჯა ამ სპორტისთვის. ჩვენ ერთი დიდი გუნდი ვართ და ვერავინ გაგვხლეჩს.

ლაშა გეგეჭკორი



ბაჰამელა ჩანდრა

მერიონ ჯონსი

ორჯერ ჩანდრა ჩანდა

გამოძიებათა ფედერალური ბიურო წარმოგიდგენთ...

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მერიონ ჯონსი მისმა ყოფილმა თანამოვარჯიშემ ბაჰამელა ჩანდრა სტარუამ 100 მეტრზე რბენაში დაამარცხა და თან ეს ამბავი ოთხ დღეში აგერ უკვე მეორედ მოხდა. პირველად ეს იყო კვირას, ჰოლანდიის ქალაქ ჰენგელოში, ხოლო მეორედ მილანში, იაფის „გრან პრიზე".

მოგეხსენებათ, ბოლო დროს მერიონ ჯონსს, რომელმაც შარშან ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ერთი მედალიც ვერ მოიგო, 2000 წელს კი სიდნეიში ერთბაშად ხუთი მოხვეტა), პრომოუტერები მაინც და მაინც არ სწყალობენ. ამის მიზეზი მისი კალიფორნიულ ლაბორატორია „ბალკოსთან" გამყლავნებული კავშირია. ამ ლაბორატორიას ერთი ხნის წინ ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს სერიოზული რეიდი დაეცხა თავს და დოპინგის თვალსაზრისით ბევრი რამ საეჭვო გამოჩხრიკა.

მახეში გაება ჯონსის პარტნიორი, 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენი ტიმ მონტგომერიც. მას სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრება და ახლა სარბენი ბილიკის ნაცვლად თავის დასაცავად სასამართლოებში იწყებს სირბილს.

ახლა მერიონ ჯონსი აშშ-ში დაბრუნდა, სადაც იუჯენში „პრეფონტეინ კლასიკში" მიიღებს მონაწილეობას.

„ამის შემდეგ დავფიქრდები და გადავწყვეტ, მიღირს თუ არა 24 ივნისამდე ანუ კერსონის (კალიფორნიაშია) გარბენამდე კიდევ სადმე მონაწილეობა. წლეულს ვგრძნობ, რომ მოტივაცია დამიბრუნდა და მზად ვარ ნებისმიერი ტიტულისთვის ვიბრძოლო." — განაცხადა იხტიბარგაუტეხელმა მერიონ ჯონსმა.

პაპუნა კედია

მოგრძანდით, ვაღს გაგისტუმრებ

ქართველი ფრენბურთელები პირველი გამარჯვებისთვის ემზადებიან

6 ივნისს საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩში მოლდოვას უმასპინძლებს. მიმდინარე ციკლი შარშან დაიწყო და ნუგზარ მიქაძის გუნდმა სამი საშინაო შეხვედრის ჩატარებაც მოასწრო, მაგრამ ვერც ერთში ვერ იმარჯვა. ცხადია, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსიც ნაადრევად დაიკარგა, თუმც ამას გამოუცდელი გოგონებით დაკომპლექტებულ გუნდს არც არავინ სთხოვდა.

ლევან ახვლედიანი

წლეულს ქართველებმა ხორვატიასა და სლოვენიაშიც წაგეს და ცხრილის ბოლოში არიან, მოლდოვა კი ბოლოსწინა ადგილზეა ერთი გამარჯვებით. მოლდოველმა ქალებმა შარშან სწორედ საქართველოს აჯობეს და ორშაბათის შეხვედრას მიქაძის სამწყსო რევანშის წყურვილით ანთებული ხვდება.

წინასამატჩო პრესკონფერენცია საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა და ნაკრების თავკაცმა მატჩამდე ოთხი დღით ადრე გამართეს სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში.

ახვლედიანმა პირველ რიგში მომავალი თამაშის პრინციპულობა ახსენა, მოლდოვას უნდა მოვუგოთ და ამაში მნიშვნელოვანწილად მაყურებელი უნდა დაგვეხმაროსო. ფედერაციის გადაწყვეტილებით თამაშზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის უფასო იქნება, რათა საქართველოში ფრენბურთის პოპულარობა გაიზარდოს.

„შარშანდელი თბილისური მატჩების შემდეგ ფრენბურთის სექციას უამრავი ბავშვი მოაწყდა. გვინდა, ამ ლამაზი სახეობისადმი ინტერესი უფრო გაიზარდოს. მოლდოვასთან თამაში სპორტის სასახლეში ოთხ საათზე დაიწყება, ერთი საათით ადრე კი ფოიეში საფრენბურთო სკოლების მწვრთნელები გამოჩნდებიან და ვარჯიშის დაწყების მსურველ ბავშვებს დააკვალიანებენ" — განაცხადა პრეზიდენტმა.

ნუგზარ მიქაძემ შარშანდელი მოლდოვური მარცხი გაიხსენა: „იმ შეხვედრის უკეთ ჩატარებაც შეიძლებოდა. რაც მოხდა, გამოუცდელობის ბრალია. პირველ და მესამე სეტებში თითქმის ბოლო მომენტამდე ვიგებდით კიდეც, მაგრამ... მას შემდეგ წელიწადი გავიდა, გამოცდილებაც მოგვემატა და ორშაბათს რევანშის ასაღებად თავს არ დავზოგავთ".

საქართველოს ნაკრები გლდანში, სასტუმრო „დეკადეშია" შეკრებილი და კიევის ქუჩაზე მდებარე დარბაზში დღეში ორჯერ ვარჯიშობს. მცირე ტრავმების მიუხედავად, სათამაშოდ უძლიერესი შემადგენლობა გავა. შარშანდელი მარცხების გამო გულშემატკივართან ვალში ვართ და ვეცდებით, ორშაბათს მაინც გაგახაროთო — დასძინა მწვრთნელმა.

ოთარ მაღლაკელიძე

კალათბურთელი მუშტებს ილესავს



„ჩიკაგო ბულზის" ყოფილი კალათბურთელი კენდელ გილი, რომელიც თოთხმეტწლიანი კარიერის შემდეგ საკალათბურთო დარბაზს გამოეთხოვა, კრივის სიყვარულს შეუპყრია და უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში თურმე სერიოზულადაც ვარჯიშობს.

JABB BOXING-ის საპრესკონფერენციო დარბაზში, სადაც გილმა ჟურნალისტებს აუწყა, ახლა მუშტების ქნევას ვიწყებო, საქმითაც დაამტკიცა რომ კრივთან მწყრალად არაა და სავარჯიშო ტომარას რამდენიმე „მტკივნეული" დარტყმა მიაყენა.

„კრივს ისევე სერიოზულად ვუდგები, როგორც კალათბურთს" — განაცხადა გილმა. JABB BOXING-ის მფლობელმა დომინიკ პეზოლიმ კი ჟურნალისტებს აღუთქვა, ყოფილი კალათბურთელის დებიუტი პროფესიულ რინგზე უკვე ამ ზაფხულს შედგებაო.

ლადო ფულუკიძე

ნუგზარ მიქაძე თავის აღსაზრდელებთან

კარგ ამინდში

ეს არგენტინელი გილერმო კანასის ფეხებია. არგენტინული მეოთხედფინალი საერთოდაც პირველად იყო როლან გაროსზე: კანასი მარიანო პუერტას ხვდებოდა. ტერასებზეც არანაკლებ საინტერესო ხალხი შეყრილიყო, შონ კონერი და მისი მეუღლე მიშლენ როკბრუნი, ანდა გუსტავო კუერტენი და მისი ცოლი. მოკლედ, ამინდიც კარგია, ჩოგბურთიც კარგია და როლან გაროსიც.





AFP ბარი ზიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბერდროლა

ვალენსიის წყლებში ამერიკის თასისთვის ემზადება ესპანური საზღვაოსნო გუნდი „იბერდროლა“. მზადება ფიცხელია, როგორც ვხედავთ.

AFP ვალენსიიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, ოენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge